





ფოტომონტაჟი ნოდარ მაღაზონიასი

„ნაბი“
 შენ, ზემო ჭიხისუფალი,
 ზემო ემხროდი ძაღვს,
 ზემოდი ახლს ყველაზე,
 აუცილებელი — გეგნებო!

თქვენი არსებობა —
 შეგნებოდავს ეზოში!
 აუცილებელი, ვინც აქვეყნად
 თქვენი გამოჩენა!
 შენ ევროპაში რეზიდენტი!



ის, რასაც მკითხველს ვთავაზობ, ორი პატარა ნაწყვეტი ნიგინიდან — „ჩემი თაობა“. ჩემს თაობად იმათ ვთვლი, ვისაც ლიტერატურული ასპარეზი გაეხსნა ნიკო კაცხოველის რექტორობის დროინდელ „პირველ სივნი“.

ცხოვრება არც ერთი თაობისათვის არ ყოფილა და არც იქნება იოლი და ფიანდახით მოფენილი, მაგრამ ის, რაც ჩემმა თაობამ (მიუხედავად ცოტა უფრო ხანდაზმულნიც და ცოტა უფრო ახალგაზრდანიც) ნახა, არ უნახავს არც ერთ თაობას. არ უნახავს ადამიანის ღმერთად გამოცხადება და მერე ამ ღმერთის სატანად გადაქცევა. არ უნახავს მორწმუნეთა ტოტალური გადაქცევა მკრეხელებად. ჩემმა თაობამ განიცადა და გადაიტანა ომის დამანგრეველი და მშვიდობის გამომათაყვანებელი ძალა. თუ ჩემი თაობის ბავშვობამ და სიყმაწვილემ გაიარა ეპოქაში, როცა მთელ მსოფლიოში „ქარიშხლები ბღაოდნენ“, ჩემი თაობის ხანდაზმულობა და სიბერე მიედინება დროში, როცა ნიავეც არ ქრის და ფოთლოვც კი არსად ირხება. ჩვენ მომსწრენი ვართ ადამიანთა სტიქიურ ვნებათა დაცხრომისა და კანცელარიული მყუდროების დადგომისა. მოწამენი ვართ ეროვნული ენერგიის გაღვიძებისა და გამოფხიზლებისა. და თუ ღმერთმა სიცოცხლე დაგვცა (ნათელი დაადგეს იმათ, ვისაც ნადრევიად აღკვეცათ ამქვეყნად ყოფნა), ვინ უწყის, კიდევ რას მოვესწრებით.

„ჩემს თაობაში“ სურვილი მაქვს, შეძლებისდაგვარად გაიმბოთ ის, რაც ვნახე ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც. ვნახოთ, რას შევძლებ.

დღეს ნოდარ დუმბაძე, სიცოცხლე რომ დასცლოდა, სამოცი წლის იქნებოდა. მაგრამ მისი ბედის ადამიანმა რაც იცოცხლა, ისიც გასაოცარია. თუმცა ახლა მე მისი ბიოგრაფიის მოყოლას არ ვაპირებ. დაპირებულ ორ ნაწყვეტს გაგაცნობთ.

I

ნოდარ დუმბაძე ჰყვებოდა: გულრიფშში, ჩემს მეზობლად, რუს მწერალს კონსტანტინე სიმონოვს აგარაკი ჰქონდა. ერთხელ დამირეკა და მკითხა: სახლი ღვინო არ გაქვსო? მოსკოვიდან ორი მეგობარი ჩეკისტი მენვია და მინდა, გავუმასპინძლო, სამწუხაროდ, სახლი ღვინო არ აღმომაჩნდა, მაგრამ შევთავაზე: — რაღა შინ ვუმასპინძლოთ, აქვე მერხეულია და იქაურ რესტორანში ვიპურმარილოთ-მეთქი.

კონსტანტინე სიმონოვს ჩემი წინადადება მოეწონა და ოთხივე მერხეულში წავედი.

ლაზათიანად მოვიღხინეთ. როცა კარგად შევეთვერით, ერთმა ჩეკისტმა დაიჩემა: მდინარეში უნდა ვიბანაო. ვერაფრით გადავთქმევინეთ. აქვეა ზღვა და რაღა მაინცდამაინც ღელეში უნდა იჭყუმალაო, — ვეხვეწებოდით. თან მთვრალიც ხარ და ცივი წყალი საშიშიაო. არაფერმა გაჭრა. გაიხადა და მდინარეში მოადინა ტყაპანი. წყალში კი ჩახტა, მაგრამ ამოყვინთვით აღარ ამოუყვინთავს. შეიქნა ერთი აურზაური. თვალდახელშეუა სტუმარი გაგვიცხა. მერხეულელი ბიჭები მდინარეში შეცვივდნენ. მომებნეს და ცოცხალ-მკვდარი ჩეკისტი ნაპირზე გამოათრევს. არაყით დავეზილეთ. ნაირნაირ იღეთებს მივმართეთ. როგორც იყო, თვალი გადაწყვიტა. მიმოიხედა და თითოთ მეგობარ ჩეკისტს ანიშნა — დაიხარო. მანაც ჩაიჩოჭა. მინახე გაშოტილ მეგობარს დაძაბული მიაჩერდა. — **На дне, в Речке Лаврентий Павлович!.. На дне, в речке Лаврентий Павлович!..** — ამოიჩურჩულა მობანავე ჩეკისტმა. ყველამ თვალი დააჭყიტა. ერთმანეთს მივაჩერდით. გვეგონა, ჩეკისტმა მდინარეში ჩახტომისას თავი ქვას დაჰკრა და ახლა მთლად დალაგებულად ველარ ლაპარაკობსო. მეორე ჩეკისტი გაკვირებული ჩვენ მოგვაჩერდა. ისიც ვერაფერს მიმხვდარიყო.

— **На дне, в речке Лаврентий Павлович!.. На дне, в речке Лаврентий Павлович!..** — ჯიუტად იმეორებდა და დაფეთებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა მდინარეში ბანაობის მოყვარული.

ჩვენ ისევ გაოგნებული ვიდექით, დარწმუნებული, რომ სტუმარი შეირყა და ეშველებოდა თუ არა რამე, აღარავინ უწყოდა.

— **На дне, в речке Лаврентий Павлович!..** — ისევ ამოილულულა ჩეკისტმა და გულწასულმა თავი გადააგდო.

საქმე საბოლოოდ წახდაო, იფიქრა ალბათ რესტორნის დირექტორმა, იგი მომიხსლოვდა, გვერდზე გამიხმო და მეუბნება:

— აქ, რესტორნის ახლოს ბერიას ძეგლი იდგა. ბერია რომ დაიჭირეს, მოგსენი და მდინარეში შევიხახე. კაცმა არ იცის, როდის რა მოხდება. დღეს თათხათ, მაგრამ ხვალ იცხეთი — დიდი კაცი იყო, ხალხის ერთგული შვილიო. ტყავს გამაძრობთ: რატომ არ მოუარვო!.. მეც ავდექი და წყალში დავმალე... ჯაჭვებით არის იქ დაბმული, მდინარეში რომ არ წაიღოს, ამ უბედურმა ალბათ წყალში რომ ჩაყვინთა ის დაინახა და ამიტომ არის ასე შემინებული.

ჩემმა ხარხარმა იქაურობა გააყრუა.

საავადმყოფოში მნახველები მრავლად მოდიოდნენ, მაგრამ მათ ბაჩანა რამიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აწუხებდათ. საკუთარი საქმე ჰქონდათ გასაჩარხავი. უნდოდათ მწერლის სახელით, მდგომარეობით და თანამდებობით ესარგებლათ. ყველაფერს იყენებდნენ — ტყუილს, თვალთმაქცობას, გაქნილობას, თაღლითობას, ხეწნას, მუდარას, ლაქიაობას, ოღონდ დახმარება მიეღოთ, თავიანთი ავკაცობა მიეჩქმალათ და ბოროტი ზრახვა მოეკვარახებინათ. მოკვდებოდა თუ მორჩებოდა ბაჩანა, ეს არ ადარდებდათ. ერთს წამოსცდა კიდევ: თქვენ რა მოგარჩენთო. მათთვის მთავარი და არსებითი იყო სარფა, რასაც ისინი მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის კაცისაგან მოელოდნენ. ამ სანახაობით გაოგნებულმა მღვდელმა იორამ კანდელაკმა ჰკითხა კიდევ ბაჩანას: „ნუთუ ქვეყნად კაცი არ არსებობს, ვისაც მხოლოდ თქვენი ჯანმრთელობა აინტერესებს?“ ასეთი კაციც არსებობდა — ვახტანგ ამბოკაძე, ვისაც ბაჩანა რამიშვილის მხოლოდ ჯანმრთელობა და სიცოცხლე უნდოდა. მისგან კი არაფერს ითხოვდა. როცა ვახო ამბოკაძის უანგარობით გაოცებულმა იორამ კანდელაკმა ისევ იკითხა — ვინ იყო ეს კეთილშობილი ქრისტიანი, არანაკლებ განსაცვიფრებელი პასუხი მიიღო: „ქურდი, მამაო, პროფესიონალი ქურდი!“

ახლა კი ჯერო დადგა ჩვენც ვიკითხოთ: რა საზოგადოებაა ის საზოგადოება, სადაც მპარავი ზოგიერთს სჯობნის კთილშობილებით, უანგარობით, გულუხეობით, კაცთმოყვარეობით, მეგობრობით?

ადამიანი მოქცეულია მონუსხულ წრეში: გაჭირვება შობს კეთილდღეობის ნატვრას. ამის მოსაპოვებლად ნაირ-ნაირ გზებს ეძებს ადამიანი. რის ვინაობით ნატვრას საქმედ აქცევს. მაგრამ ახლა მეორე უბედურება იწყება. ივიწყებს კეთილშობილებას, სიყვარულს, უანგარობას, პატიოსნებას. ხდება მოყვასის მოძულე, ხარბი და დაუნდობელი. დგას ამ მონუსხულ წრეში და ვერ გარკვეულა, რა სჯობს — ხორციელი სიმდიდრე თუ სულიერი? რას ებრძოლოს — ხორციელ სიღატაკს თუ სულიერს? მარათალია, თეორიულად ყველა ერთხმად ამტკიცებს, ხორციელ სიმდიდრეს სულიერი სიმდიდრე სჯობსო, ხორციელი სიღატაკე ისე საშიში არ არისო, როგორც სულიერი, მაგრამ პრაქტიკულად ყველა ხორციელ სიმდიდრეს ამჯობინებს და ებღაუჭება, არაფრით ხელიდან არ უშვებს. მზად არის ყველა და ყველაფერი კერბერივით დაკბინ-დაჭამოს, ოღონდ მის ქონება-დოვლათს არა მოაკლდეს რა.

უამრავი ფულის მითვისებისათვის ზის ციხეში შოშია გოგოლაძე („თეთრი ბაირაღები“). ადრე იგი გაჭირვებული და პატიოსანი კაცი იყო.

„ორმოცი წელიწადიდან, რომელიც ჩემშია, ოცდაათი წელიწადი ხახვით, ბოლოკით, მდოგვითა და შავი პურით მქონდა ამომწვარი თავ-ღრანჭი და ცხვირ-პირი. ხალხო, ორმოციდან ოცდაათი წელი მესიზმრებოდა თეთრი პური, კარაქი, ხიხილალა ჩაქაფული, ბატკნის მწვადი, ბასთურმა, სუკი, მწყერი და ხოხობი, ორსართულიანი რვათახიანი სახლი, ფიქალით! განყობილი აბაზანით, სამზარეულოთი და საპირფარეშოთი, ორმოციდან ოცდაათი წელი მესიზმრებოდა შავი „ვოლგა“, მწვანე ათთუმინანები, ლურჯი აგარაკი შავ ზღვაზე, ბამბასავით თეთრი ქალი და ბროწეულივით ლოყანითელი შვილები...“

ოცდაათი წლის ნატვრა ათ წელიწადში სინამდვილედ აქცია შოშია გოგოლაძემ, მაგრამ რა გზით, რა საშუალებებით? იმ გზით, იმ საშუალებებით, რომელსაც ბოლოს ადამიანი უთუოდ ციხეში მიჰყავს.

ისიდორე სალარიძის სიძეც აბრეშუმის ყაჭივით უხმო, უწყინარი და თვინიერი ბიჭი იყო. უბატონოდ ხმას არ გააცემდათ, მაგრამ ერთ უბედურ დღეს იგი შინ გამდიდრებული დაბრუნდა. გალაღებული მაგიდაზე ოცდახუთმანეთიანების დასტა დაყარა და იგრავლიც ამაყად მიმოიხედა. იმ წუთს იგი სამუდამოდ შეტრიალდა ეშმაკისაკენ. გალთთდა, გაქურდდა, ცოლს ცემა დაუწყო, სიმამრს — ალალ-მართალ მშრომელ კაცს — დასცინოდა, თავმოყვარეობას უგინებდა. ოჯახში ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ ისიდორემ სიძე მოკლა.

1 ალბათ უნდა იყოს — ფილემ ბიოთ.

3

რა ქნას ან შოშია გოგოლაძემ, ან ისიდორე სალარიძის სიძემ? ყოველ კაცს ენატრება, სურს, უყვარს სიმდიდრე, დოვლათით სავსე ოჯახი, ბევრი ფული. მათაც უნდათ კეთილი ცხოვრება. არ უნდათ ციხეში ჯდომა, მით უმეტეს — სიკვდილი.

ფული თუ არ გეძნება, ზაზა ნაკაშიძის დედასავით უნდა იდგე ბაზარში მეხორცის დახლოდან და ეხვეწო. ფაშგადმოგდებულ, ბრიყვ, თვალგადმოკარკულულ ყასაბს სამ მანეთად მოგცეს სხვისგან დაწუნებული, გადასაყრელად გამეტებული, ხორცგაცილილი ძვლები, რომ შეიღს ციხეში როგორმე რვა პანია კატლეთი შეუზავნო. ის რვა კატლეთი, რომელთა დანახვა პატიმრებსაც კი არ ჰყოფნით სასაცილოდ.

ფული თუ არ გეძნება, ისიდორე სალარიძისავით დამსახურება დაცინვას — სამსახურში ადგილს აცდენ და ცხოვრება არ იციო! თუმცა განათლებული, სწავლული კაცია იგი, პროფესიით ეკონომისტი, ორი უცხო ენის მცოდნე, მაგრამ ვერასოდეს უყიდის შეიღს ნახევარ წელიწადში სამ ქურქს, ათ წყვილ ჩექმასა და ტუფლს, ოც კაბას, ბეჭდებსა და საყურეებს. სიძემ კი შეძლო ეს, რაკი სინდისზე აიღო ხელი.

ფული თუ არ გეძნება, ვერც აზიზას საროსკიპოში ივლი. არადა, ისიც იზიდავს ადამიანს.

— როგორ, კაცო, კერძო დუქანი აქვს, დუქანი კი არა, ბარდელი და არავინ იჭერს? — გამიკვირდა მე.

— ეჰ, ჩემო ზაზა, რამდენი, წესით იმის ქაშაფი რომ უნდა ყოფილიყო, ისეთი კაცი მე იქ მენახოს, იმდენი თუმანი რომ მოგცეცა ახლა მე და შენ, იმ ფულით საკუთარ ციხეს ვიყიდით, — ამოიხსრა შოშიამ.

როგორც ჩუჩხელისაგან არ გამოვა სანთელი, ისე არ გამოვა ექიმი ვანიჩკა კოტინოვის დირექტორის შვილისაგან, მაგრამ სამედიცინო ინსტიტუტში მაინც შევიდა („ნუ გეშინია, დედა“). როგორც ფული ჰქონდა.

ავთანდილ ჯაყელს კი ინსტიტუტის კარები ცხვირწინ დაუკეტეს. რატომ? ფული არ ჰქონდა და იმიტომ.

უდანაშაულო ზაზა ნაკაშიძე რომ ციხიდან იხსნან, უწყალოდ ნაცემი აკაკი ხარაბაძე უნდა მორჩეს. იგია ერთადერთი მოწმე, ვისაც სიმართლის თქმა შეუძლია. მაგრამ ხარაბაძე რომ განიკურნოს, უცხოური წამალი საჭირო. მაგრამ ის წამალი „სულ ორი ფლაკონი ყოფილა საქართველოში — ერთს უკვე ასმევენი ვიღაცას და ერთს ვიღაცისათვის ინახავს, ვაითუ დასჭირდესო“.

— ყველაფერი გაყიდე, დედა, — ეხვეწება ზაზა ანიკო ნაკაშიძეს, — და როგორმე ის წამალი იყიდე! შეიღის მუდარას დედა მორიდებით უპასუხებს: „რა გაყვიდე, შეიღო?“ „მართლაც, რა გაყიდოს? რაც დედა მასსოვს, სულ ვყიდით ყველაფერს. ჯერ არაფერი გეყიდიო და ახლა რა უნდა გაყიდოს სანყალმა დედა?“

ასეთ ვითარებაში ორი წყურვილი იზადება: ერთი მხრივ, ფულის შოვნის, მეორე მხრივ — მოყვასის სიყვარულისა და თანამობის. ეს ორი წყურვილი ერთმანეთს ებრძვის. ან ერთმა უნდა გაიმარჯვოს, ან — მეორემ. როგორც წესი, იმარჯვებს ფულის შოვნის წყურვილი. სიყვარული და თანამობა ადამიანის მამაც ქონებრივ მდგომარეობას არ ცვლის. მხოლოდ ზეიობრივ კმაყოფილებას ანიჭებს. ეს კი საკმარისი არ არის. აუცილებელია ქონებრივი მდგომარეობის შეცვლა, რაც მხოლოდ ფულს შეუძლია.

რაც თავი ახსოვს კაცობრიობას, სულ ფულს ეთაყვანება და თან სულ წყევლა-კრულვას უგზავნის. ეთაყვანება, რაკი ფულია კეთილდღეობის საფუძველი. წყევლის, რაკი ფულივცა ბოროტების წყაროც. ვერ იქნა და ვერა, კაცობრიობამ ვერ გამოიძენა ფულისადმი დამოკიდებულების უბოროტო ფორმა, ვერ ჩააყენა იგი მხოლოდ კეთილის სამსახურში და ვერც ვერაფრით შეცვალა, ვერც უარყო, თუმცა დიდხანს იბაგუნებდა გულში ხელს და იმუქრებოდა — ყვითელი ეშმაკი უნდა მოისპოსო, მაგრამ ამაოდ. ფული ფულადვე დარჩა: მარჯვენა ხელით რომ კეთილს ნერგავს, მარცხენით ბოროტს თესავს.

სხვადასხვა ერის მწერლობაში სხვადასხვაგვარია ფულის მსხვერპლი და ფულით გამოწვეული დანაშაული. ჩვენი ლიტერატურაც გარკვეული თავისებურებით წარმოგვიდგენს მას. როგორც კი გავადევნებთ თვალს ადამიანისა და ფულის ურთიერთობის პრობლემას ქართულ პროზაში, დავინახავთ მკაფიო სურათს, რომელსაც სახელად შეიძლება დავარქვათ ფულის უსახლვერო ტრფიალი, დაბადებული უპოვრის სისხრით.

უქონელი და უპოვარი იყო ჩვენი პროზის მიერ დახატული პირველი მილიონერი სოლომონ ისაკიჩ მეფელანუაშვილი. მას მერე ყველა მდიდარი, ვინც კი არსებობს ქართულ მწერლობაში, სილატაკით იწყებს და სიმდიდრით ამთავრებს ცხოვრებას. მათ შორის ასევე სიღარიბიდან ამოტივტივდენ ცხოვრების ზედაპირზე წოდარ დუშაბაძის შოშია გოგოლაძეები, ნუგზარ დარასხელიძეები, სანდრო მაღლაფერიძეები თუ სხვანი. ქართული პროზა არ იცნობს, არ ხატავს მემკვიდრეობით ფულიან კაცს, მისი ცხოვრების გზას, მის კეთილსა და ბოროტს. არ დაუხატავს არც იმ ტიპის კაპიტალისტები, როგორიც იყვნენ, ვთქვათ, დავით სარაჯიშვილი, გიორგი ქართველიშვილი, აკაკი ხოშტარია, ზუბალაშვილების ოჯახი. რომ არაფერი ვთქვათ, ევროპულ და რუსულ მწერლობაზე, ასეთი ფულიანი ადამიანები ძლიერ საინტერესოდ არიან წარმოდგენილი სომხურ მწერლობაში. ქართული კი იცნობს და ხატავს, როგორც უკვე ვთქვით, ოდენ ღატაკს, რომელიც ნაირ-ნაირი საშუალებებით — დაზოგვით, კაპიკის კაპიკზე მიწეებით, ჩარჩული ეშმაკობით (როგორც სოლომონ ისაკიჩი), დიდი რაოდენობით ფულის მითვისებით, მოპარვით, რთული კომბინაციით (როგორც ნ. დუშაბაძის პერსონაჟები) მდიდრდებიან და ხდეობან ყოვლისშემძლეები. რაკი გამდიდრების, ფულის შეძენის პროცესი ასახული, ბუნებრივია, პარალელურად იხატება ხორცის ზეიმისა და სულის კვდომის სურათიც. ამ სურათის ყურების უამრავ მწერლობაშიც და მკითხველშიც იზადება მოყვასის სიყვარულისა და თანამობის ნატვრა. ეს ნატვრა მსჭვალავს პროზას ლავრენტი არდაზიანით დაწყებული დღემდე.

არსებობს მეორე გარემოებაც, როცა მოყვასის სიყვარულისა და თანამობის ნატვრა ჩნდება. ეს არის უსამართლობის ვითარება.

ვითარება, როცა თორმეტი წლის ციხით, კატორღით, გადასახლებით გატანჯულ დედას პირველად დაინახავ შინდობარუნებულს და ვეღარ იტყვი: — გამარჯობა, დედა! ამის მაგიერ, როგორც უცხო, მიმართავ: — გაგიმარჯოთ, ქალბატონო! რადგან თორმეტი წლის ობლობამ გადაგაჩვია და აღარ იცი, როგორ თქვა ყველაზე იოლად სათქმელი სიტყვა დედა („მზიანი ღამე“). ვითარება, როცა უდანაშაულოდ გაციმბირებული მამა უკვე აღარ გახსოვს. თავად უკვე დაფუტკაცებული გაკვირებული უყურებს სურათს, რომელზედაც დათვის ტყავზე დავარებული ერთი წლის ბჭია გადამებული, და მოულოდნელად დედა გეტყვის: — მამაშენია! შენი სურათი ეგონათ და დაპატიმრების დროს არ წამართვესო („მზიანი ღამე“).


ვითარება, როცა მატარებელში, უცხო ხალხში, დაბნეული, უსუსური ბაღლი გკითხავს: — დედა ოლია, სად არის ჩემი დედა? — და პასუხის გაცემა არ შეგიძლია.

— ჩემი დედა რა იქნა?! — ქალი წამოდგა, ბავშვი მეგრდში ჩაიკრა და პირზე ხელი ააფარა, ეს შემზარავი კითხვა რომ არ გაეგონა. ქალს ბავშვის ხმა აღარ ესმოდა, მაგრამ ხელის გულზე ტუჩების მოძრაობით გრძნობდა, რომ ბავშვი დაჟინებით იმეორებდა ერთსა და იმავე კითხვას.

— ღმერთო, უფოთუ ვერ ხედავ ამას და თუ ხედავ, სად ხარ?! — თქვა ქალმა და ბავშვის წინ მუხლებზე დაეშვა („მარადისობის კანონი“).

პრობლემა, რომელსაც პირობითად დავარქვით მოყვასის სიყვარულისა და თანამობის ნატვრა, წარმოშობილი უკანონობისა და უსამართლობის შედეგად, ღრმად, ფართოდ და ყოველმხრივ

(დასასრული მე-4 გვ.)



ქართულ პროზაში დამუშავებული არ არის. არსებითად ყველაზე ვრცელად მას ნ. დუმბაძე შეეხო. ცხადია, დასვენაც მასვე უნდა გაეკეთებინა. ამდენად ნ. დუმბაძე ლოგიკურად მივიდა იმ კითხვამდე, რომელიც ბაჩანა რამიშვილს დაუსვეს: „მშობლების გამო რამე წყენა სომ არ გაქვთ ან გქონიათ პარტიის მიმართ?“ ლოგიკურია ის პასუხიც, რომელიც ბაჩანამ გასცა: — „კი მქონდა, მაგრამ გამიარა. თუმცა მერე, მშობლების რეაბილიტაციის შემდეგ, ისევ გამიჩნდა წყენა... გამიჩნდა, იმიტომ რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში თურმე სულ ტყუილად, არაფრის გამო გადავტანეთ ამდენი სიდუხჭირე, დამცირება და უბედურება“.

მაგრამ ასეთ სიტუაციაში კითხვა-პასუხის ლოგიკურობა არ კმარა, მკითხველი უნდა გაერკვეს — ზნეობრივად რას ნიშნავს „წყენამ გამიარა“. თუ „წყენის გავლა“ უსამართლობის ტკივილის დავინწყების შედეგია, მაშინ იგი ზნეობრივი დაქვეითებაა. თუ „წყენის გავლა“ შედეგია უსამართლობის ტკივილის სხოვნის, მაგრამ შურისგების დაძლევისა, მაშინ იგი ზნეობრივი ამაღლებაა. ამდღებზეა იმიტომ, რომ შურისძიების სურვილი იბუდებს სულიერად ამბოჯარის ცნობიერებაში, პატიების უნარი კი მომადლებულია უზენაესის მიერ.

ამ საუბრის დროს მასხენდება ერთი ეპიზოდი, რომელსაც ეპნატე ნინოშვილი გვიამბობს „სიმონაში“.

შეურაცხყოფლის მოსაკლავად გამზადებული სიმონა ძალაძე ბუჩქებში ჩასაფრებული უცდის ტიტუკო დროიძის გამოვლას. მაშინ მოაგონდა სიმონას ერთი პატიმრის ნათქვამი. სიმონამ პკითხა: „სულის ნანწყმედის არ გეშინია, ადამიანს რომ კლავ?“ პატიმარმა თურმე უპასუხა: „ჩემთვის ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გადააქციეს და ჯოჯოხეთში სულზე არავინ ფიქრობს“. ამ ფიქრმა თითქოს გაამხნევა სიმონა. მან ტიტუკოც მოკლა და დავით დროიძის მეორე ვაჟი ლევანიც.

მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანი მაშინ არის ადამიანი, როცა იგი ჯოჯოხეთში ფიქრობს სულის არნანწყმედაზე, თორემ სამოთხეში არავის სჭირდება ამაზე ფიქრი.

ბაჩანა რამიშვილს კაციც ჰყავდა მოკლული შურისძიების მიზნით, ჯოჯოხეთიც ჰქონდა გავლილი და სულის გვემაც გადატანილი, როცა პასუხს იძლეოდა. იგი უკვე მონღოლური კაცის შეგნებით იყო მისული იმ. მცნებამდე, რომელიც ერთხელ უკვე მოვიშველიე და ახლა ისევ გავიმეორებ — „ჩემი არს შურისგებაი და მე მივაგო, იტყვის უფალი“, რაც არ ახსოვდა ნაბლისერის ბუჩქებში ჩასაფრებულ სიმონა ძალაძეს. Nil inultum remanebit!

მესამე გარემოებაც არის, როცა მოყვასის სიყვარულისა და თანალმობის ნატვრა ჩნდება, — საერო სახალხო გასაჭირი.

მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებს. უჭირს სოფელსაც და ქალაქსაც. ზენობაში საიდანლაც ბოშები ჩამოვიდნენ („ბოშები“). სოფელს რა აქვს, მოულოდნელ სტუმრებს რა უნდა გაუზიაროს?! ინანანაღეს ერთხანს, ერთ მშვენიერ დღით კი უთენია გაიპარნენ. თან „სოფელს ერთი თხა, ორი გოჭი, ერთი ხბო, ოციოდე ქათამი, კიდევ რაღაც წერილ-წერილი საოჯახო ნივთები“ მოჰპარეს და წავიდნენ. ისინი ჩხახტაურში მილიციის უფროსმა კიკიტია ოსეფაიშვილმა დააკავა და ზენობნელები გამოიძახა. ზენობნელებმა

ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — ბოშებს ჩვენთვის არაფერი მოუპარავთ, რაც მიაქვთ, ჩვენი მიცემულიაო. ჯაჭვში, სამფეხში, ნალში და სხვა ნივთებში გავუცვალეთო, კიკიტია კიკიტია... იძულებული გახდა ბოშები გაეშვა. ზენობნელები და ბოშები ერთმანეთს ძმბივით გამოემშვიდობნენ. რატომ? იმიტომ, რომ სოფელში ბოშები მკითხაობდნენ, ნუგეშს იძლეოდნენ. „ყველა მწუხარეს თუ არა, ნახევარს მაინც ამოუმშრალეს მდუღარე ცრემლები თვალთაგან, ბევრ ჩაქრობაზე მიმდგარ კერას შეუბერეს სული, ისევ გააღვიძეს, ისევ ააფუტეს...“


იმედი მაინც იმედია, თუგინდ იგი ბოშა ქალის პირით ნათქვამი სიცრუე იყოს.

ნაბეღლავში ნივთების სიმინდში გადასაცვლელად წასული ხატია და სოსოია ბაბილო ვაშაყმაძის ოჯახში მოხვდებიან („მე ვხედავ მზეს“). ბაბილოსა და კაკანოს ორი ტყუპი ბიჭი დაეკარგათ ომში. არავინ იცის მათი ამავეი. დილიდან სალამომდე მოთქვამს შვილებდაკარგული დედა. უცებ ხატია ტყულის მოიგონებს — ჩვენს სოფელში ომიდან კაცი ჩამოვიდაო. იმას უნახავსო ტყუპი ძმები. ცოცხლები არიანო, კარგად და ჯანსაღად. ამ მიაბიტ ტყუილს ყველა მაშინვე მიხვდებოდა, ბაბილო მიხვდა კიდევ, მაგრამ კაკანომ დაუჯერა გოგონას. წყალნადებული კაცი ხაესს ეკიდებოდაო და გაუბედურებული დედაც იმედის ტოტს ჩაებლაუჭა. დამშვიდდა და იწამა, რომ მისი ბიჭები სალ-სალამათი დაბრუნდებოდნენ.

მეორე დღეს, დილით, ბაბილომ ქურქი და ჩექმა აღარ გამოართვა ხატიასა და სოსოიას, ისე, უფასოდ მისცა სიმინდი. ქურქსა და ჩექმაზე ბევრად ძვირად ღირდა ხატიას დატოვებული ცრუ გინცი.

სანიშნოდ ეს ორი მაგალითი ვიკმაროთ, თორემ ამგვარ ეპიზოდსა და სცენას ბევრს ვნახავთ ნ. დუმბაძის თხზულებებში. რაოდენობით, მართალია, ბევრია, მაგრამ უმთავრესი მაინც იმის დადგენაა, რას აღწერს მწერალი, მოყვასის სიყვარულის ფაქტს თუ საკუთარ ოცნებას? ერთსაც და მეორესაც, ოღონდ ოცნება სჭარბობს ნამდვილს. ოცნება უფრო ღრმაა, ვიდრე ნამდვილი. ნ. დუმბაძის მოთხრობებსა და რომანებში მოყვასის სიყვარულისა და თანალმობის არსი ოცნებაში ვლინდება და არა სინამდვილიდან აღებულ ფაქტში. მაგალითად, გიჟი მარგოს არსებობა და სიკვდილი ნამდვილია, მისი მოვლა-პატრონობა და ზემოთ დასაფლავება კი — ოცნება („მარადისობის კანონი“). ასევეა სხვა შემთხვევებშიც. ნ. დუმბაძის შემოქმედება გაჟღენთილია კეთილის, თანალმობის, სიყვარულის ნატვრით. ახლა შემიძლია ვუბალსუხო კითხვასაც: რა საზოგადოებაა ის საზოგადოება, სადაც მპარავი ზოგიერთს სჯობის კეთილშობილებით, უანგარობით, გულუხვობით, კაცთმოყვარეობით, მეგობრობით? ეს ის საზოგადოებაა, სადაც ენატრებათ კეთილი, თანალმობა, სიყვარული, სადაც ამ ნატვრას ოცნებით იკმაყოფილებენ.

ნ.ბ. ჯამალ ლოლუასი (1979 წ.)



„ჯანყი ბურიანში“

დარჩა სამარადჟამოდ!

რთული ამოცანა დამისევს ჩემმა ქართველმა კოლეგებმა ჟურნალ „ნინავიდან“, დამეწერა რამდენიმე სიტყვა... ნოდარ დუმბაძე!

რამდენიმე სიტყვა ნოდარზე! საამისოდ კაცს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ტალანტი, რადგანაც ვინ არის ისეთი ჩვენს ქვეყანაში, რომ არ იცნობდეს შესანიშნავ მწერალს, ვისაც წილად ზღაპრები — გაემდიდრებინა ქართული ლიტერატურის დიდებული ტრადიციები, შეეტანა მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენს საერთო-ეროვნულ საბჭოთა კულტურაში, შეექმნა ისეთი თვითმყოფადი, ისეთი მკაფიო სახეები, რომ ზოგიერთი გმირის სახელი საზოგადოც კი გახდა!

საკმარისია დავასახელოთ რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილია-რიონი“ და ნებისმიერი ადამიანი — თბილისში იქნება ეს თუ ვლადივოსტოკში, მინსკსა თუ ტაშკენტში — ღიმილით შესძახებს: „წა-კითხული მაქვს!“

ღიმილით... იგი ცხოვრობდა და წერდა ღიმილით — ხან სევდიანით და ხანაც ბავშვურით. ეს ღიმილი გამოკრთოდა მისი გამორჩეული ტალანტიდან და კიდევ — მისი ხასიათიდან და კიდევ — იმის შეგნებიდან, რომ ღიმილი კურნავს ამ ჩვენს სასტიკ ელექტრონულ საუკუნეში, რომ ჩვენ ყველას ესოდენ გვაკლავს სიკეთე, თანაზიარობა, გულმოდგინება...

„ვიცი!“ — ამბობენ ნოდარის შესახებ ქართველი და რუსი, ლატვიელი და მოლდაველი. აი, ეს არის მწერლის ყველაზე დიდი აღიარება, მისი ნაღვაწის საუკეთესო შეფასება.

მაგრამ რაც არ იცოდა ბევრმა, ვინც სულმოუთქმელად კითხულობდა დუმბაძის წიგნებს, იყო ის, რომ უთვალსაზიროესი პრაზა-იკოსი თავიკობდა სატირულ-უმორისებულ ჟურნალ „ნინავს“, თავიკობდა და თავისი დიდი სულის ნაწილსაც უშუალოდ უძღვნიდა მას.

ქართული „კროკოდილი“ დუმბაძისათვის იყო არა უბრალოდ ჟურნალი, სამსახურის ადგილი, არამედ ის ინსტრუმენტი, რომლითაც იგი, თავის კოლეგებთან ერთად ბოროტებაზე ამხედრებული, ამკვიდრებდა სიკეთეს!

ბედნიერი უნდა ყოფილიყო ჟურნალი, რომელსაც ჰყავდა ასეთი რედაქტორი. ბედნიერი უნდა ყოფილიყვნენ მკითხველები, რომლებსაც ჰქონდათ ასეთი ჟურნალი!

თუმცა რატომ „ყოფილიყო“? ჟურნალი დარჩა და იცავს ნოდარის ტრადიციებს, აგრძელებს მათ და ნოდარიც დარჩა ჩვენთან ერთად სამარადჟამოდ!

ალექსანდრე პიანოვი,

ჟურნალ „კროკოდილის“ მთავარი რედაქტორი.

1971 წელს „კროკოდილის“ ბიბლიოთეკის სერიით რუსულ ენაზე გამოიცა ნოდარ დუმბაძის მოთხრობებისა და ფელეტონების კრებული „საუბრები ზე მშვენიერად“.



ერთხელ... ეროვნული გიგანტობა

ერთხელ უცხოელი მწერლები გვესტუმრნენ მწერალთა კავშირში. ერთმა მათგანმა რაღაც ამბის გამო საერთო საუბარში უცებ თქვა:

— იმდენი არავინ იცის, რომ პესიმისტი იყოს!

ყველანაირი გავირინდეთ...

პაუზის შემდეგ ნოდარ დუმბაძემ მისთვის ჩვეული გონება მამხვილობით სტუმრებისათვის თქვა ერთი ჩვენებური ანეკდოტი (თუ მართალი ამბავი) იმის შესახებ, რომ ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე კვდიანი, ყველაზე მდიდარი და ყველაზე ლამაზი პოეტი მსოფლიოში ლორდი ბაირონი პესიმისტი იყო, ხოლო უნიკო, უჭკუო და ულამაზო ერთი ჩვენი პოეტი ოპტიმისტობას იჩემებდა.

სტუმრებმა ბევრი იცინეს.

მე კი ვიმეორებდი:

— არავინ იმდენი არ ვიცით, რომ პესიმისტები ვიყავით!

მარტონი რომ დავრჩით, ნოდარს ვუთხრებდი:

— გაიგონე, რა თქვეს ასე უბრალოდ?

— ყველაზე გენიალური უბრალოა, ძამა! მაგ უბრალოების მიგნება გენიალობაა იცო, რა მითხრა ერთხელ ბაბუაჩემმა, კაცის ბედზე თუ უბედურებაზე რომ ვლაპარაკობდით? „ყოლიფერი რომ ვიცოდე, ბაბუ, ახლავ თავი უნდა მოვიკლა, აბა!“ რითაა იმ ნათქვამზე ნაკლები?

ზურაბ გეგაზაშვილი

„პითაგოროსის ქაჯები!..“

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში ბატონმა რევაზ ჩხეიძემ თათბირ-საუბარი ჩაატარა დიდი ესპანელი მწერლის მიგელ დე სერვანტეს სახედას „ლონკინოსის“ ეკრანიზაციის შესახებ. ქართული ფილმი ესპანელ კოლეგებთან ერთად აპირებს ამ ნაწარმოების გადაღებას, თქვა ბ-მა რ. ჩხეიძემ. საუბარს კონკრეტული ხასიათი არ ჰქონდა, ბატონმა რევაზმა ძირითადად ლაპარაკობდა იმაზე, თუ რამდენად შეუწყობდა ეს საქმე ხელს „იბერების“ უფრო ახლო გაცნობასა და დაახლოებას. საუბარს ესწრებოდნენ გამოჩენილი ქართველი კინომოღვაწეები, მხატვრები, კომპოზიტორები, მწერლები... ნოდარ დუმბაძე გრძელში მაგიდის კუთხესთან იჯდა, ხმას არ იღებდა, არ ერეოდა საუბარში, გულდაგულ ხაზავდა ქაღალდის ფურცელზე ფანტასტიკურ ფიგურებს (ნოდარს ასეთი ჩვევა ჰქონდა: როცა რაიმე ძალიან აინტერესებდა და გულისყურით უსმენდა, უნებურად ხაზავდა ხოლმე მის წინ დადებულ ფურცელსა თუ გაზეთის კიდეზე...), ბატონმა რევაზმა თან ინგლისელი კოლეგა, გამოჩენილი კინორეჟისორი მოიყვანა, რომელიც იმუშავდა სტუმრად იმყოფებოდა საქართველოში. სტუმარმა შეკრების მიზანი რომ გაიგო, გაიოცა: თუ კლასიკოსის გადაღება გნებავთ, შორს სადღა მიდინარე, თქვენი ბრწყინვალე „ვეფხისტყაოსანი“ გადაიღეთო!

ბატონმა რევაზმა დიპლომატიური ღიმილით მიუგო, რომ ქართული ფილმი ჯერ ვერ გრძნობდა თავს საქმად მომზადებულად ასეთი ღონის ნაწარმოების ეკრანიზაციისათვის.

— ჩვენ კი ისე „გავთავხედდით“, — განაგრძო ინგლისელმა კოლეგამ, — „ქართულ ფილმთან“ ერთად გვინდა ამ ნაწარმოების გადაღება, და ისე შორს შევტოპეთ, რომ მსახიობებიც კი შევარჩიეთო!

— ვინ არიან ეგ მსახიობები, თუ საიდუმლო არ არის? — იკითხა ბატონმა რევაზმა.

— ვინ და... თინათინი — ოდრი ჰეპბერნი, ნესტან-დარეჯანი — სოფი ლორენი, ტარიელი — პიტერ ო'ტული, ავთანდილი — ალენ დელონი, ფატმინი — ბრიჯიტ ბარდო, ფრიდონი — ენტონი ქუინი...

— რაღა ერთობლივი ფილმი, თქვენ გადაგილიათ და ეგ არის! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ. — საკითხავია, ჩვენ ვინდა ვითამაშოთ?

— როგორ თუ ვინ?! — უცებ საუბარში ჩაერია ნოდარი, — იმდენ ქაჯებს თამაში არ უნდა? ვითამაშოთ ის ქაჯები და ვიყოთ ასე!

იმ მომერულ ხარხარში ინგლისელ სტუმარს ვუთარგმნე, რაც თქვა ნოდარ დუმბაძემ. თავშეკავებულმა ინგლისელმა იმდენი იცინა, რომ სულ ჟურცხალ-კურცხალ ცრემლი ყარა...

ბებია, ილიკო, ილარიონი, ზურიკელა და მე

გერმანული
ბიბლიოთეკა



ნახ. ზურაბ ფორჩხიძის

ქვეყნიერების ზურგი რომ მოიაროთ, დისნეი-ლენდის სანა-ხობითაც რომ დატყებოთ, იაპონიასაც რომ ესტუმროთ, რომელიც ილიკოსა და ილარიონის რწმენით ორი იმდენი მიწაშია. რაც ზევით არის, ვერსად ნახავთ ისეთ საოცრებას, ჩვენი „მზიური“ რომაა! „მზიური“ ერთადერთია მთელს მსოფლიოში. და მე მიყვარს „მზიური“. ჯერ ერთი, იმიტომ მიყვარს, რომ „მზიური“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამის“ და სულ რომ მზეზე წერდა, ისეთი კაცის გამოგონილია, შემდეგ იმიტომ მიყვარს, რომ ისეთი ღიმილია, რომელსაც თან სევდა ახლავს — იქვეა ნოდარ დუმბაძის საფლავი, კაცისა, რომელიც არასდროს ღიმილს არ იცის, სევდა კი თვით არ სცილდებოდა!... „რა შურით, ძამა, ჩემი? — ბევრჯერ უთქვამს, — რამდენი პრემიაც მიმიღია, იმდენი უბედურება თავს დამტყდომია“.

და კიდევ იმიტომ მიყვარს „მზიური“, რომ იქ ვხვდები ბებიას, ილიკოს, ილარიონსა და ზურიკელას. მიყვარს მათი საუბრის მოსმენა. გუბაზოვლივით მოჩხრიალებს პატარა წყარო და ზურიკელა მზად არის გადასახტომად; ბებია ჰკავს ცეცილია თაყაიშვილს, ხოლო ილიკო და ილარიონი ისე ღვანან, როგორც ქვეყნიერების ზურგზე მარტო გურულებს შეუძლიათ ღვამა. ღვანან და ასე მგონია, მგლოვებიან. თუმცა არ ვიცი, იქნებ სხვებსაც ესაუბრებიან ქვეყნის ამბებზე, პოლიტიკაზე, აბა, ისე რა გააჩერებს გურულ გლეხს?

— რაიო რეიგანმა, რას ჩივა, თუ იცი? — რაღაც უნდა გამომოტყუოს ილიკომ.

— ილიკო ბრუციანო, აცალე კაცს ელანძე, მეითქვას სული! — ააკვესა შუშის თვალი ილარიონმა და სალი თვალით თვითონაც მოუთმენლად მომაჩერდა.

— მოაწერა ხელი რეიგანმა და თქვა, ღმერთი გწყალობდეთო! — უყურე შენ! — გაუვივრდა ილიკოს, — უღმერთო შეიარაღებით რომ სული ამოგვხადა, მაშინ არ ახსოვდა ღმერთი?

— გაჩერდი შენ, ხრონწო ბერეკაცო! — შეუბღვირა პოლიტიკურად გამოზრდილი ილარიონმა, კაპიტალისტისაგან, აბა, რას მოელოდი?

შემდეგ მომიბრუნდა და მკითხა:

— თუ კაცი ხარ, გამაგებინე, სოკობივით რომ მომრავლა კოოპერატივები, ბაზარში რომ პროდუქტს ყიდულობენ და შემდეგ მამასისხლად ყიდიან, ფულის კოოპერატივიც ხომ არ შეუქმნიათ, თუ იცი?

— ფულის კოოპერატივები ადრე იყო შექმნილი, — ჩაიჭირჩილა ილიკომ, — და იმათი თავმჯდომარეები ახლა ციხეში ჟღიმავენ თვალეზს!

ილიკოს პასუხი საკმაოდ დამაჩერებლად ეჩვენა ილარიონს და საუბარის სხვა თემაზე გადაიტანა:

— კიდე ერთი რამე ვერ გევიგე, შვილო, — სულ მთლად დანაღვლიანდა ილარიონი, — სტალინი რომ სტალინი იყო, კი ვიცოდი მე მაგი, მაგრამ სტალინი რომ ტროცკი ყოფილა, ახლა გევიგე! რა ქნა იმ ბუხარინის ცოდვით საცემ, თვითონ თუ ტროცკის-ტომა უნდოდა, ტროცკის რას ერჩოდა, ნაკლებად იტროცკისტებდა თუ რა?

კითხვა იმდენად რთული იყო, რომ ამაზე მხოლოდ ვასილი ბელოვს შეეძლო გაცეცხლე. მე კი ამხელა ფანტაზია არა მაქვს. მაინც ავუსენი ილარიონს, რომ ბევრი შეცდომა დაუშვა სტალინმა. მომეჩვენა: ილარიონს შუშის თვალი ეშმაკურად უტიმცემებდა, ეტყობა, რაღაცის თქმას აპირებდა სტალინის დასაცავად, მაგრამ ილიკომ არ აცალა:

— ეგ ჩვენ ყოლიფერი ვიცით, ბიძიკო! ნამდვილი ანტიქრისტი იყო, მარა სულ რომ ტაშს უკრავდნენ „პამოშნიკები“ და მის მოსაწონად ერთმანეთს დასმენაში და ხალხის ხოცვა-ჟლეტაში ეჯიბრებოდნენ, სიკვდილის შემდეგ მისი პირველი მაგინებელი, „ჩემო მამა და მასწავლებელი“ რომ ეძახდა, ამაზე რას იტყვი?

სალი თვალი შიგ შებლში ჩამასო ილიკომ.

— გამოთავადნა აი ბერეკაცი! — ველარ მოითმინა ილარიონმა, — აგი ყოლიფერი აღმინისტრაციულ-მბრძანებლობითი სისტემის ბრალია და ახლა სწორედ სისტემა უნდა გარდაექმნათ!..

— შენი გარდაქმნილი არ გეიშვა არსად! — ჩაუშწარა პათოსი ილიკომ.

— ვაი შენს პატრონს!.. — არ დაიხია უკან ილარიონმა, — მე რის გარდამქმნილი ვარ, მარა აგერ არ არს ჩვენი ზურიკელა, რომ გამრავლებულან და მოსდებან მთელ ღუნიას მისი შვილები და შვილიშვილები?! ისინი მიიყვანენ ბოლომდე „პერესტროიკას“, არანდარა, ამოგვხვდა სული, ბერეკაცი!

— გახეთების კითხვას ვერ ავუდივარ, ნენა! — პირველად ჩაერია საუბარში ბებია, — ახლა გევიგე, რომ თურმე ჩვენი სიმღერაც, მრავალმნიშვნალო, და არ მოსწონს „კომსომოლსკაია პრავდის“ მკითხველს. ნენა, ნენა! კრიმინალის გაგონებაზე ხომ ალბათ სულ

სანთლით ამოიგზავს ყურებს!.. ციტრუსები ჩვენი არ ვარგებულა და რუსეთის ბაზრებში ხალხის გატყავების მეტი არაფერი გვეკეთებია!..

— შენ მაინც ორი თვალით კითხულობ გავითებს, ოლა! — უსაყვედურა ილიკომ, — აბა, მე და ილარიონმა რა ვქნათ, ღაგვეფსო მეორე თვალიც ამდენი ლანძღვა-გინების კითხვით!..

— ვინ ხარ შენ? — მოულოდნელად შემომბღვირა ილარიონმა.

— აუჰ! — გამიკვირდა, — ვერ მიცანი, ილარიონ ბიძია?

— მე კი გიცანი, მარა ვინ ხარ ეროვნებით?

— ქართველი!

— არ წავიკითხავს ზეიმაღის წერილი, თვარა მასე არ იტყვი!..

— წავიკითხე „სოვეტსკაია კულტურაში“, მაგრამ იქ ჩემზე არ ეწერა, ქართველი არააო.

— გურულები, აჭარლები, მეგრელები, სვანები, იმერლები, ქართველები, კახელები და კიდე სხვები ხომ ქართველები გგონია?

— კი მგონია, მგონია კი არა, ასეა!

— აბა, ცალკე არსებობს „გრუზინი“ ამათ გარდა?

— არა!

— ხოდა, შენც არ არსებობ! საქართველო და ქართველი გამოგონილი სიტყვებია!

— რას ბეუტურობ, ილარიონა ცხვირა! — გადაირია ილიკო.

ილარიონმა შუშის თვალი გადახედა ილიკოს, სალი თვალი კი ჩემთვის არ მოუცილებია:

— აბა, ზეიმაღი რომ ამბობს, მეგრელები და სვანები გააქართველეს, რამე ვუშველოთ საწყლებსო, დოუჯეროთ ჩვენც, დევიშა-ლოთ ყველა გვარტომი ცალ-ცალკე, აღარავინ იქნება „გრუზინი“, აღარც სტალინი გვეყოლება და გვეშველება მაშინ!..

— ბრიყვია მაგ ზეინკალია თუ ვინცა! — ვერ მოითმინა ოლ-

ლამ.

— ბრიყვი უძახე შენ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი კი ყოფილა!.. — ნიშნის მოგებით უთხრა ილარიონმა.

— დობტური კი არა, ბეითალი ყოფილა მაგი და მიხედოს თავის ძროხებს და ღორებს, თავი დაანებოა ადამიანებს, მეგრელებსა და სვანებს არ სჭირდებოდა ასეთი დობტური! — ასე გაცეცხლებული ოლდა მე კი არა, ზურიკელას არ უნახავს მაშინაც კი, როცა გაბეზრებული მასწავლებლები სკოლაში იბარებდნენ!..

...მიყვარს მზიური, მიყვარს ეს კეთილი ხალხი!

ნოდარ დუმბაძის სიასლოვეს



ნოდარ დუმბაძესთან, ისევე როგორც ბევრ ქართველ მწერალს, ახლო ურთიერთობა მქონდა და მისი დაუმრეტელი იუმორის, ფანტასტიკური ენამახვილობის მომსწრეს ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო, მაგრამ ამჯერად მცირედს დავჯერდები, მხოლოდ ზოგიერთ რამეს აღვიდგენ მეხსიერებაში.

„ნიანგში“ როცა რედაქტორად მუშაობდა, სხვებთან ერთად ჩემთვისაც უთქვამს, ხელი გაანძრიე, რამე მომიტანო. „არველოდი ნინაწვას“ ფსევდონიმით რამდენიმე იუმორესკა თუ სატირული მინიატიურა დამიბეჭდა. მასსოვს, ლექსი მივუტანე ცნობილ გრაფომანზე (დასახელებული არ მყავდა, მაგრამ რამდენიმე მტრისხით მქონდა მინიშნებული), კარიკატურული სახე მყავდა დასატული. წაიკითხა, მომინონა, თანაც იქვე ერთი სტროფი მოხაზა და წამიშალა, ასეთ რამეებს იმ კაცის მეტი არავინ აქვეყნებს და მთლად აბდალი კი არ არის, მიხვდება, მასზე რაა დაწერილი და ქვეყანას შემოიყრისო.

ერთხელ პატარა ფელეტონი დავუტოვე. სქემატური რალაც იყო, ტელეფონები რომ არის არეული, იმაზე: ქალისა და მისი საყვარლის დიალოგში უეცრად მივლენებაში წასული ქმარი ჩაერთვება. აღწერილი მქონდა სხვადასხვა ნაწარმე ცხოველთა რტებით მორთული მოღალატე ცოლის ოთახი... ტელეფონის ყურმილსაც იგი ბოლოს ერთ-ერთ რქაზე კიდებს.

ორიოდე თვის მერე შევახსენე ჩემი ფელეტონი თუ წაიკითხეთ.

თავი აწია. სქელი წარბები მოიქექა.

— ნაკითხვით წავიკითხე, მარა არ ვარგა, ძამა! — გურუღად მომიქცია, — გლახა რომ დაგიბეჭდო, მიეჩვევი სიგლახეს და მერე კაის ველარ დანერ!

არ მწყენია, რადგან დაუფარავად თქმა იცოდა; მოეწონებოდა თუ არა შენი მასალა, პირდაპირ გეტყოდა.

ერთხელ ნოდარ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში კრიტიკის გამოცოცხლების მიზნით ხშირად იბეჭდებოდა ხოლმე ორი წერილი, ორი განმსვავებული აზრი ერთსა და იმავე ნაწარმოებზე (კრიტიკის ასეთ ფორმას, რა თქმა უნდა, ახლაც იყენებენ). ნოდარის ერთ რომანზედაც გამოქვეყნდა ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციის შემცველი ორი ასეთი წერილი. იგი დიდად ააღელვა ნეგატიურმა წერილმა. კიდევაც მითხრა, „ნიანგის“ რედაქტორობის დროს მაგის ავტორს ალბათ ფელეტონი არ დავეუბეჭდე და სამაგიერო გადამიხადა, თორემ ასე არ გამომეტყებოდა. სტატია მართლაც მწვავე იყო, მაგრამ გამიჭირდა მისი დარწმუნება, რომ ფელეტონის დაუბეჭდაობა არაფერ შუაში იყო. ისიც ვუთხარი, იმ ადამიანს ფელეტონი თუ იუმორისტული მოთხრობა არასოდეს დაუწერია-მეთქი, მაგრამ მაინც თავისაზე იდგა, უსათუოდ რალაც ეწყინებოდა ჩემგანო.

მერე და მერე, მწერლური დიდების კვალდაკვალ, შეეჩვია შენიშვნებსაც და მძაფრ კრიტიკულ წერილებსაც. ის კი არა და, ერთი თავის ყველაზე თავგამოდებულ, კბილის მომსინჯველ ოპონენტზე ამბობდა, მაგისი კრიტიკა ნამეტანი კარგად მაქვს დაცდილი, რამდენჯერაც გამაქიქა, იმდენჯერ მაღალი და მაღალი პრემია მომანიჭეს; იმდენს იზამს, ბოლოს ნობელსაც ამაღლებნებო!

ცნობილია, ჩვენს ლიმილიან და დიდად კეთილ კაცს იოსებ ნონეშვილს საზღვარგარეთ მოგზაურობა უყვარდა. ერთხელ (მგონი, მისი ინურებოდა, წელი აღარ მახსოვს) ნოდარი მწერალთა კავშირის წინ იდგა მაჩაბლის ქუჩაზე. ვკითხე, ბატონი იოსები ზევით ხომ არ არის-მეთქი. ამაზე მისებურად გაიხუმრა:

— იოსებს ახლა სადღა ნახავ. დედა მისი სეზონი. კარგი იდეა მაქვს, თუ მიიღო: წამდაუნუმ აეროდრომზე სიარულს ურჩევნია, შეიკეროს ერთი დიურალუმინის კოსტიუმი, დაიმარგოს თავზე პროპელერი, გაშალოს ხელები და პაიდა, იფრინოს ქვეყნიდან ქვეყანაში, ამ ზაფხულს მაგას თბილისში მაინც ვერავინ გააჩერებსო.

რამდენიმე ამხანაგთან ერთად მოსკოვში ვიყავი (მგონი, 1969 წელი იყო) ახალგაზრდა მწერლების თათბირ-სემინარზე. მასსოვს, ფოიეში დილით სტენდებზე ლაურეატი მწერლების სურათები გამოიტანეს. მათ შორის ნოდარისიც. შნოიანი, ლამაზი სახე ჰქონდა ნოდარს და იმ ფოტოზედაც კეთილად მოლიმარი საუცხოოდ გამოიყურებოდა. მეორე დღეს ყველა სურათი (დაახლოებით ოცამდე) ადგილზე იყო, ნოდარისა კი გაქრა. მის თაყვანისმცემლებს მოეპარათ.

თბილისში დაბრუნებულმა რომ ვუთხარი, შენი სურათი სტენდიდან იმავე დღეს მოიტაცეს-მეთქი, გაეღიმა. შევატყვე, ესიამოვნა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

ერთხელ გაიხსენა, როგორ ჩავიდა ზამთარში გურიაში, თავის მშობლიურ სოფელში. მაშინ უკვე ნოდარი ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ სახელმოხვეჭილი მწერალი, ლიმილით ჰყვებოდა ერთ პატარა შემთხვევაზე:

— თოვდა. ოდიდან თოფი გამოვიტანე. დავინახე მეზობლის (ახლო ნათესავის) ეზოში, სუროზე შაშვები ისხდნენ. მეზობელი (ჩემი მოყვარე), სასტიკი ხასიათის კაცი, პროფესიით იურისტი, შინ ყოფილიყო. ტყავის პალტოში გამონყობილი თურმე სადღაც წასასვლელად ემზადებოდა.

ვისროლე თოფი და ერთი შაშვი კისრით წამოვიდა, თოვლში ჩაეცა. ეს ჩემი ნათესავი, დაქირაპებული, ჩექმების ჭრაჭარტოთ ხის ძირში მიიჭრა და შაშვი აიყვანა. თან აქეთ-იქით იყურებოდა. თვალებით გატკვერს კაცსო, იმაზე იყო ნათქვამი. უნდა გენახათ მისი სახე, როგორ ეძებდა დამნაშავეს, ვინ გაბედა და მის ეზოში თოფი ისროლა. ამის ჩამდენის უეჭველი გაუბედურება ჰქონდა გადაწყვეტილი. უეცრად მაინცდამაინც მე რომ შევჩრი ხელში, ხასიათი წაუხდა, მაგრამ ტაქტიკა შეცვალა, ჩემი გაბიაბრუება გადაწყვიტა. შაშვს ნატყვიარზე სული შეუბერა და უცნაური ლიმილით ამომხედა:

— ნოდარა ბიჭო, რამ გასროლია ამიზა თოფი, ფიჩხივითაა, სული არ დგამა ისედაც, აი აწი, პატარა რომ გეცლია, მისით ჩამოვარდებოდა ხიდან.

ეტყობა, ეს მაინც ჭაბუკობისდროინდელი ამბავი იყო და მერე, დარწმუნებული ვარ, შაშვისთვის თოფი აღარც უსვრია. ალბათ იმასაც ნანობდა. წლების შემდეგ, როცა მწერალთა კავშირის ბაღში შემოჩვეულ შაშვებს ერთი უცნაური ყვავი შეუჩნდა და საშველს არ აძლევდა, აწიოკებდა, ნოდარმა შინიდან თოფი მოიტანა და ავანზე გადამდგარმა ის ბოროტი ყვავი სიცოცხლეს გამოასალმა, შაშვებს მშვიდი ცხოვრება დაუბრუნა.

ნოდარი ხშირად თხზავდა თავშესაქცევ გონებაბახვილურ რუსულ „ჩასტუშკებს“ და თავისებურადაც ჩაილინებდა ხოლმე. ხრუშჩოვის პერიოდში, როცა გაზეთებში სოფლის მეურნეობის განვითარების გზებზე აუარებელი ინერებოდა, მასსოვს, ასეთი რამ წამიღერა: «Наша мама на рассвете поймала аиста... Планомерное развитие сельского хозяйства».

მეორე „ჩასტუშკაც“ იმავე ხანებში ჰქონდა მოგონილი და გარეგნულად კოსმოსის ათვისების თემას შეეხებოდა: «Хорошо, что наш Гагарин Ни киргиз и ни узбек, Ни грузин и ни татарин А советский человек».

„ო“-ზე ყველგან განსაკუთრებულ მახვილს აკეთებდა. ამით, როგორც მასსოვს, დიდმპყრობელური შოვინიზმით შეპყრობილებს აქილიკებდა, იმათ, ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი არაფრად რომ არ უღირთ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ნოდარის ქვრივს, ქალბატონ ნანულის ვკითხე, მის არქივში ხომ არ არის-მეთქი დარჩენილი ნოდარის სხვადასხვა წერილი ხუმრობები. ასეთი რამეები არ აღმოჩნდა. როცა თავი ცუდად იგრძნო, ამგვარი ჩანაწერები დაუხვეია და გადაუყრია, ახალგაზრდობის ცდუნებები და აღარ შემოფრისო.

ნოდარ ღუმბაძე — ჯვება ღუმბაძე

„ნოდარს ერთმა მწერალმა მოსკოვში უჩივლა. წერილში მომჩივანმა მას ქართველი სოლჟენიცინი უწოდა. ამ ამბიდან ასე ერთი თვის შემდეგ ნოდარი და ის მწერალი ერთმანეთს გამომცემლობა „მერნის“ ფოიეში შეხვდნენ. მწერალი დაბნეული ჩანდა. კიდევ უფრო დაბნეული იგი ნოდარის გულში მისალმებამ. ეტყობა, ასეთ შეხვედრას არ ელოდა. გათამამებულმა მწერალმა ახლა თავადიც მოიკითხა ნოდარი. კარგად ვარ, ძამო, უთხრა ნოდარმა, მარა კიდევ უკეთესად ვიქნებოდი, შენ იმ წერილი მოსკოვში კი არა, შვეიცარიაში რომ გაგვგზავნაო. თუ ღამტყიდა, რომ მართლა ქართველი სოლჟენიცინი ვარ, ნობელი ზედა მაქვს, ოღონდ ამისათვის საჭიროა იმ წერილი შევღებულად ვათარგმნოთ და სტოკჰოლმში გავგზავნოთ. ისე მე პირადად ორივე შემთხვევაში მაღლობელი ვარ, ძამო, შენო, კიდევ ერთხელ გაუცინა მწერალს და მხატვრების ოთახისკენ გაემართა.

—:—:

კანეფი რომ მოკლეს, ნოდარმა თქვა: გამოვიყვანო უნდა ბავშვი ინგლისურიდან და სროლაზე შევიყვანო.

მოგვიანებით გოგი თურმანაულს — მაღაროსკარელ სწავლულს, მელექესს, მონადირესა და დიდ ვაჟკაცს, იქაური სკოლის დირექტორს — ნოდარმა ოპტიკურსამიზნინი „შაშხანა“ აჩუქა. მეც ვასლი ნოდარს მაღაროსკარში, თურმანაულს რომ თოფი ჩაუტანა.

ამ თოფით მოკლეს საწყალი კენედიო, ისე ნაღვლიანმა და ისეთი დაბეჯითებით უთხრა გოგის ნოდარმა, ალაღ და გულუბრყვილო ფშაველს ექვიც არ შეჰპარვია ნათქვამის სიმართლეში. ეს იქიდან გამომდინარე, რომ მალე თვითონ გოგომ სავსებით სერიოზულად უთხრა ირაკლი გოგოლაურს: საწყალი კენედი ამ თოფით მასკლესო!

—:—:

მართ ცუდ კაცს, რომელმაც ადრე ჩადენილი ცუდკაცობის გამო ნოდარს მოუბოდიშა, ნოდარმა უთხრა: არ შეწუხდე, ძამო, შენ მამაზე! მე, ძამო, ახლა ისე მაქვს საქმე, მე თვითონ თუ მოვიჭამ ამ ჩემს ფეხებს, თვარა სხვა ნამდვილად ვერ მომჭამსო!

მართ კაცზე, რომელიც ადრე მოთხრობებს რეზო ჭეიშვილის მიზავეთ წერდა, ნოდარმა თქვა: მაი, ძამო, ჭეიშვილის ჭაჭაზეა დაყენებულიო.

მოგვხსენებათ, „ჭეიშვილი“ ვახის ჯიშია.

—:—:

ნოდარს ანაგის ქუჩაზე მეტისმეტად დაბალჭირიანი ბინა ჰქონდა — ეგერეთდობილი „ხრუშოვის სამოთახიანი“.

— აი, ძამო, საქმე? ბალაიხა პოპლა ვერ მიიტევამ და მაღლა ვერ შემისროლია! ბუზებს ჭერზე ისე ვკლავ, ფეხის წვერებზე აწევაც არ მჭირდებაო! — იცოდა თქმა.

—:—:

მართმა ახალგაზრდა მწერალმა მოთხრობა დაწერა გურული გლეხების ცხოვრებაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, მოთხრობა მეტრისმეტად დაეგვანა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“. ავტორმა თავისი დებიუტი ნოდარს წააქიხა. — კაია, ძამო! — მას ასე უთხრა, მაგრამ ავტორი რომ წაბრძანდა, წაილიდინა: ყორიფელში თუ მბადიო, ქე გახდები ღუმბაძეო!

—:—:

მართმა ჩვენმა საერთო ძმაცამა ვერ იცოდა მთლად ტურგენევის რუსული. ბიჭები ბევრ ანეკდოტურ ამბავს ჰყვებოდნენ მის რუსულზე. ნოდარიც ჩაერია საუბარში:

— სტალინიდან ვბრუნდებოდით. ვილადა რუსმა გვკითხა, რა ანგარიშით გათავდა თამაშიო. ყველას იმან დაგვასწრო: — რას-ღეაო! (თამაში 2:1-ით დამთავრებულია).

—:—:

სარგო ორჯონიკიძის ძეგლის გახსნაზე ნოდარს ერთი მაღალი თანამდებობის პირი ეუბნება:

— ძალიან ცუდი ადგილი შეურჩევიათ ძეგლისთვის!
— კარგი ადგილი რაც იყო საქართველოში, გააჩუქა მაგ მამაცხოვრებულმა და რაც დარჩა, აგია! — აუხსნა ნოდარმა.

—:—:

იშავე დღეს ერთმა სკულპტორმა სერგო ორჯონიკიძის ძეგლზე აზრი კითხა ნოდარს.

— კაია, ძამო, მარა ნამეტანი გავს იმას... — აღარ დაამთავრა აზრი ნოდარმა.

— ვის? — დაინტერესდა სკულპტორი.

— ე ბიჭო, იმას, იმ რომ იყო...

— ვის? — კიდევ უფრო გაუცხოვლდა ინტერესი მოქანდაკეს.

— ე ბიჭო, იმას, სერგოს...

—:—:

ახალდაბადებული „ცისკრის“ რედაქტორის ვახტანგ ჯელიძის კაბინეტში ჟურნალის მორიგი ნომრის მაკეტზე საუბრობდნენ. საქმით გართულ რედაქტორს დაევიწყდა — დასხედითო, ეთქვა თანამშრომლებისათვის. ითმინა, ითმინა ნოდარმა და ველარ მოითმინა: — ბატონო ვახტანგ! სანამ არ შემესობა აი ფეხები საჯლოში, არ დამსვამ?

—:—:

იშავე გრიგოლ აბაშიძე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, ნოდარ ღუმბაძე — ერთ-ერთი მდივანი.

ბატონი გრიგოლის კაბინეტში ვსხედვართ რამდენიმე კაცი, მათ შორის — ლიტფონდის მაშინდელი დირექტორი ბატონი ამირან გაბესკირია. ამირანს თავი ბატონი გრიგოლისკენ აქვს გადაწეული.

— ბატონო ამირან! — მიმართა ნოდარმა.

ბატონმა ამირანმა არ გაიგონა.

— ბატონო ამირან! — გაიმეორა ნოდარმა.

ბატონმა ამირანმა არც ახლა მოაბრუნა თავი.

— ბატონო ამირან! — ხმას აუწია ნოდარმა.

ბატონმა ამირანმა არც ახლა მოაბრუნა თავი.

— ბიჭო ამირანა, შენ ხომ არ გგონია, სულ ბატონი გრიშა იქნება თავმჯდომარე?! — გაიცინა ნოდარმა.

გავიცინეთ ჩვენც.

სულ მალე ნოდარი მართლა აირჩიეს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ.

—:—:

ნოდარის რედაქტორობის დროს „ნინაგში“ ფელეტონი დაიბეჭდა: შაქრის ქარხნის დირექტორად ვირთხა დააწინაურეს და ა. შ.

ერთ მშვენიერ დღეს იღება რედაქტორის კაბინეტის კარი.

— ვინ გნებავთ და რა გნებავთ, ბატონო?

— მე ვირთხა გახლავართ! იბღვირება ახალმოსული აზმახი.

ნოდარი უხსნის ფელეტონის განაწყენებულ „ლირიკულ გმირს“, რომ ფელეტონი ზოგადად კიცხავს მექრთამეებსა და სახალხო ქონების დამტაცებლებს.

— ზოგადად მაშინ იქნებოდა, შაქრის ქარხანა ორი მაინც რომ იყოს საქართველოში! — ბრაზობს ფელეტონის გმირი.

— რა ვქნა, ბატონო, ვერ გამოგვსვლია ეგ საქმე კარგად. რა შემძლია ახლა მე? — თუ გნებავთ, ცნობას მოგართმევთ, რომ თქვენ ვირთხა არ ბრძანდებით! — ეუბნება ნოდარი.

—:—:

კახეთში ვიმოგზაურეთ ერთად „რაფით“. მთელი კვირა დაეყავით შემოდგომის კახეთში ათმა მწერალმა.

— მსოფლიოში ყველაზე ზარმაცი ხალხია კახელები! — გამოუცხადა ჩვენს მასპინძელს ნოდარმა.

— რაშია, ბატონო ნოდარ, საქმე?

— უთვალავი პატარა ღელე და მდინარე შეგვხვდა გზაზე. ყველას „მოვრიე“ ჰქვია. სახელის დარქმევაც გზარებათ! — გაუღიმა ნოდარმა.

—:—:

მართ დიდებულის სუფრა სულ გააფუქეს ღვინით: მანავის მწვანეაო, გვითხრეს და გვასვეს ძმარი!

— ძმარნო ქართველო! აი მანავის მწვანე კი არა, წვანავის მანავეაო! — გამოუცხადა ნოდარმა.

—:—:

„ნინაგის“ ერთი არაქართველი სტუმარი ნამეტანი ბევრ ჩაის სვამდა, თანაც მღუღარეს. შეწუხდა ნოდარი:

— ე ბიჭო, მაგას რომ შარდის ბუშტი გაუსკდეს, ნამდვილად ფეხებს დაიმღღარავს საცოდავი!

ნოდარმა ერთ კაცს, სახელად სოსოს, რეკომენდაცია გაუწია და ის კაცი ძეგველულის საამქროს უფროსად დაინიშნა.

დანიშნულიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ სოსო და ნოდარი ქუჩაში შეხვდნენ ერთმანეთს.

— რაღა ხარ, სოსო, ძამა, როგორ მიდის შენი საქმეები? — მოიკითხა ნოდარმა.

— დიდი მადლობა, ნოდარის სულის პირიქე! ერთი 30.000 მანეთი ვალ მქონდა და ის გავისტუმრე. აგერ, ეს „ვოლგა“ ვიყიდე 40.000 მანეთად. სოფელში სახლი ავიშენე, 20.000 მანეთი დამიჯდა. და შევიღმისთვისაც ქე მაქვს ერთი 50.000 მანეთი გადანაზნული!

— კი მარა, სოსო, აფერისტო, „კალბასში“ ხორცს სულ არ უშობი? — იყვირა ნოდარმა.

მოგახსენებთ, მწერალთა კავშირში არცთუ ისე იშვიათად დადიან შექანებული ამხანაგები. ასე, ორი მეტრის სიმაღლის ერთ გადარეულს ნოდარმა ერთი თვალეზი დაუბრიალა და ისიც მორჩილად, დატუქსული გაიძურწა კარებიდან.

გამოვივირდა: რაშა საქმე, რით დააფრთხე ასე-მეთქი.

— „ცან მაგათ, ძამა, „გემოში“ კაცი რომ მყავს მოკლული და მერიდებიან! — გაიცინა ნოდარმა.

(როგორც ცნობილია, ნოდარ ღუშბაძე თერთმეტი თვე იჯდა ციხეში, როგორც „მკვლევლობაში ექვემდებარებული“. „თეთრი ბაირაღები“ ციხეში გატარებული იმ თერთმეტი თვის ნაყოფიც არის, როგორც ჩანს).

მართი ტიპი შევიდა ნოდართან კაბინეტში, აი ისეთი, ნოდარმა რომ იცოდა თქმა, მაგრა ასხიო, და ასი მანეთი მოსთხოვა: მოსკოვში უნდა წავიდე, ბრუნვეს ველაპარაო და უკან გამოვბრუნდე, წასვლა-მოსვლას კი ასი მანეთი ნაწილობადაა.

ამოიღო ნოდარმა საფულე, დააძრო იქიდან ერთი ხუთთუმანი და უთხრა:

— აქეთობა: ფულს, ძამა, ლეონიდ ილიჩი მოგცემს, ასე ვართ მოლაპარაკებული!

ამ ამბის შემსწრე მოსკოველი პოეტი და მთარგმნელი ვლადიმერ რაიკი ვერაფრით გაერკვა, რა ხდებოდა. როცა ავუსხენით, რაშიც იყო საქმე, გაიცინა, არავითარ შემთხვევაში არ მისცემს ბრუნვენი აქეთ წამოსასვლელ ფულსო.

— ჩვენც მაი გვინდა, ძამა, ერთით ნაკლები გვეყოლება! ეგაც საქმეს! არ ღირს ახლა აი საქმე ხუთი თუმანი?

მე თუ მეკითხები, მეტიც ღირს-მეთქი!

უპანახანელ ხანს ნოდარი მეტისმეტად დაძაბუნდა, სიარულიც უჭირდა, სუნთქვაც, ლაპარაკიც, მაგრამ სიცოცხლის ხალისი და იუმორის გრძნობა ძველებურად ჰქონდა შერჩენილი.

იმ დღეებში პრესაში დაიბეჭდა, ყველამ მივბაძოთ ამხანაგ ჩერნეჭოს!

— მე რაც შემიძლია, გებაძე, ძამა, — ვერ დავდივარ, ვერ ვლაპარაკებ და ვერ ვსუნთქავო, — გაიცინა და გაგვაცინა ნოდარმა.

მართმა მწერალმა, საშუალო რანგისამ, ნამეტანი დიდ-ხანს იცოცხლა, ამაზე ნოდარმა შენიშნა: — მაგან, გენაცვალე, მწერლის უკვდავება პირდაპირ გათვალისწინებულია — უბრალოდ, არ კვდება!


მასხოვს ხმა გაერცელდა, ხტუნოვანი ქართველებს ციხეში გასახლებით დაემუქრაო.

იმ წელს თბილისში ძალზე აცივდა და თოვლიც დიდი მოვიდა.

გადაიხედა ნოდარმა ფანჯარაში: ე ბიჭო, მგონი მართლა გაგვასახლა იმ უპატრონომ, რაღაცა არ გავს საქართველოს ეს ყველაფერიო!

კონსტანტინე სიმონოვი, გულრიფში ღუშბაძეებისა და კალაძეების კარის მეზობელი, იგონებს, თუ ერთხელ, მისი დაბადების დღეს, როგორ ჩავიდნენ ქუთაისიდან ნოდარ ღუშბაძე და გულდა კალაძე და როგორ ჩაუტანეს იუბილარს მთლიანად შემწვარი თხა, რომლის მუცელშიც აღმოჩნდა მთლიანად შემწვარი გოჭი, რომლის მუცელშიც აღმოჩნდა მთლიანად შემწვარი ვარია, რომლის მუცელშიც აღმოჩნდა მოხარული კვერცხი, რომელშიც აღმოჩნდა ბარათი სალაღობო ლექსით.

საწყენია, რომ არ შემიძლია გავაცნოთ ამ „გასტრონომიულ მატრიონამში“ მოთავსებული ტექსტი, რომლის ყოველ გახსენებაზე კი სიმონოვი გულიანად იციხრდა.



ამავე ერთი პორტრეტისა

პარპიტარბი იმედი არ მქონდა... მაინც შევბედე: — ბედნიერი ვიქნები, თუ ნებას დამრთავთ, რომ დაგხატოთ-მეთქი. საწერ მაგიდასთან იჯდა. ვილაცის ნაწერს ჩაჰკირკიტებდა. გულთბილად გამომღამა, სათვალე ცხვირის წვერთან ჩამოაცურა და ქვემოდა ანთხედა. სევდიანი ღიმილი ჰქონდა, დაღლილი... უცებ დამეთანხმა. ისე უცებ, რომ შევცბო.

იმხანად სახელოსნო არა მქონდა. პირდაპირ სახლში მივედი. ჩემი მამა და ვაჟიშვილი სახლში არ დამხვდნენ. სანამ მოლბერტზე დაფას ვამაგრებდი, ბატონი ნოდარი კედლებზე გამოფენილ ჩემს ნახატებს ათვალიერებდა. განსაკუთრებით „ხატია და სოსო“ შემიქო. საშინლად ავღელდი. გუნებაში თავს ვკიცხავდი, რამხელა სითამამეა ჩემ მხრივ, რომ ასეთ დიდ შემოქმედს დროს ვართმევ, ვაითუ მსგავსებაც არ გამომივიდეს, ნაღდ ფერწერას და ფსიქოლოგიურ ნიუანსებს ვინაა ჩივის-მეთქი... სენსის დასაწყისში ხელები დამებორკა, ფეხები გამეყინა. ვხატავ და ვშლი, ვშლი და ვხატავ... ნოდარი კი ჰყვება რაღაცას... არაფერი მესმის. დავურუვდი, დავმუნჯდი, დავბრმავდი... მოკლედ, წავხდი... ნოდარი კი უკვე შენობით მელაპარაკება, თან ხუმრობს რაღაცაზე.

უცებ ძალა მოვიკრიბე და საუველური მივმართე:


— მე რემბრანდტი კი არა ვარ, მოძრაობაში დაგხატო! — ვთხოვე გაჩუმებულიყო და შერჩეულ პოზაში გაჩერებულიყო. გამიღიმა. გავთამამდი და განვაგრძე: — ნუ დაგავიწყდებათ, დღეს ჩემი ნატურა ხარო, ნატურა!

— ნატურა კი არა, გოგო, შენი ნატურმორტი ვარ, ოღონდ დროზე გამიშვი! — სხარტად მომიგო.

ორივემ გულიანად ვიცინეთ. თურმე მწერალთა კავშირში უნდა მისულიყო დღის ბოლოსათვის. ამიტომ პირველი სენსი მხოლოდ საათ-ნახევარს გავაგრძელეთ. მეორე დღეს ზუსტად დათქმულ დროს მოვიდა. თითქმის დაბინდებამდე ვიმუშავეთ. ისე გამიშინაურდა, შტეფან ცვაიგსა და თომას მანზე საუბარიც კი შევძელი ხატვისას.

ნოდარის ხალასი ნიჭი, მისი თავმდაბლობა, მისი თბილი გული მამხვენებდა და ძალას მაძლევდა შემექმნა სიტყვის დიდოსტატის სახე, სახე ნაღდი მწერლისა, რომელსაც შესწევს უნარი, როცა მას სურს, აგატიროს, მტირალს უცებ სიცილი დაგაწყებინოს, შემდეგ ისევ აგატიროს და ასე დაუსრულებლივ... ეს ხომ ის ჯადოქრობაა, რომელიც მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვანს შეუძლია, იმ წრფელ სიყვარულსა და აზრს, რომელიც გულიდან მოდის. ამიტომაც ალბათ, რომ ნოდარ ღუშბაძის ნაწარმოებები ერთი ამოსუნთქვით იკითხება, ერთ სიტყვასაც ვერ გამოტოვებ! ის ბოლომდე აღელვებული გატარებს თავისი სულის დაბირინთებას და მერე დიდხანს დაგტოვებს ობოლად, რადგან მის შემდეგ ძნელად თუ მიაგნებ მასავით ლალ, ხატოვან, ზუსტ მოქმედს.

დაბოლოს არ შემიძლია მოკრძალებით არ გავანდო მკითხველს: ნოდარმა პორტრეტი მომიწონა. თავისი წიგნი მაჩუქა წარწერით: „ღია! მადლობელი ვარ, რომ სული ჩემი გარეთ გამოიტანეს“ ვერც ერთი მხატვარ-პორტრეტისტი უკეთეს რეცენზიას ვერ ინატრებდა. ეს იყო 1974 წლის მაისში. ეს წიგნი ჩემი სამაგიდო წიგნია. გვირდით — ანა კალანდაძე, შოთა ნიშნიაშვილი, მირიან ფოცხიშვილი, მუხრან მაჭავარიანი და სხვანი... ყველა ერთად — ჩვენი სიამაყე და ჩვენი სუნიქვა!



მე და ნოდარ ღუმბაძე გულრიფშიდან თბილისისაკენ ჩემი ავტომანქანა „მოსკვიჩით“ წამოვედით. მგზავრობა უჩვეულო გვექონდა. ავტომანქანას გზადაგზა ნაწილები სცივოდა, ამის გამო ხშირად ვჩერდებოდით. როცა უკანასკნელად სამტრედიასთან შევჩერდით, ნოდარმა თქვა, საჯავახოსკენ წავიდეთ, გურიის მთებს შევეუკიფინოთ და მერე გავაგრძელოთ გზა ასეც მოვიქცევი, გადავუხვიე გურიისაკენ, გავვარდი ხიდზე და შევეყვები საჯავახოს ალმაროს. მიხვეულ-მოხვეული გზა დამთავრდა და მთის კენწეროში მოლიმარი ავტომანქანები დაგვიხვდა. გაჩერება გვთხოვა. გავჩერეთ. ჩვენც ღიმილი. შევაგებეთ. მთავარი ის იყო, არაფერი დაგვიშავებია. მართალია, ხიდზე წინ მიმავალ ავტომანქანას ავუქციე გვერდი და გავუხსარი, მაგრამ ეს ამან რა იცოდა! ჩამოვედი, ვკითხე, რაშია საქმე-მეთქი. უსიტყვოდ, ხელის მოძრაობით მანიშნა, წინ ჩავსულიყავი; სერიდან გადამახვდა, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა ხიდიც და მთელი მიდამო.

— ძამა, ხიდზე გასწრება არაა საკადრისი! — მითხრა და თავისი ავტომანქანის სახურავზე გაშალა ჩანთა.

— ჰიგიენის წესებს იცავთ, გაურეცხავი მანქანით არ გვიშვებთ ხომ ჩოხატაურში? — გამოეხმაურა ნოდარი.

— სხვათა შორის, ჰიგიენა არც თქვენდა იქნებოდა ურიგო, მაგი წვერი რომ გაგიშვია ბურღლია მოჭვასავით, გეიპარსო უნდა ხანდისხან! — შეუტია ინსპექტორმა და სახეზე რისხვა დაემჩნა.

— ისე, ნოდარ ღუმბაძე წვერგაუპარსავიც უნდა გეცნო, კაი გურული თუ ხარ! — ნაწყენმა გუთხარი.

— კი, კი, დაგიჯერო ამ წუთში, მაგია ნოდარი ღუმბაძე? თქვენ ჭოლა ლომთათიძე ხომ არ ბრძანდებით? — აგრესიულად შემომხედა ინსპექტორმა და თავისთვის ჩაილაპარაკა: — ბიჭოს, ამ ჩაჩნებმა არ გეინაწილეს გვარები?! საბუთი! — ბრძანა.

ნოდარი ავტომანქანიდან გადმოვიდა და ჩვენკენ წამოვიდა.

„მგონი, მართლა ღუმბაძეა“, — ჩაილაპარაკა ინსპექტორმა თავისთვის და გაექანა ავტომანქანის სარკისაკენ. ბავშვური ღიმილით გვიცქერდა და ყვიროდა, თუ არ გამომყვებით, ამ საბუთს ვერ მიიღებთო. ჩვენც ჩაცვივდით ჩვენს „მოსკვიჩში“ და გამოვედეთ. ასი-ორასი მეტრი არ გვექნებოდა გაყლილი, რომ ინსპექტორმა თავისი მანქანით გზა გადაგვიღობა, ვეებერთელა ჭიშკარი გააღო და მიგვანიშნა ეზოში შებენიანება.

— ეს ჩემი სახლი გახლავთ, მობრძანდით, გადმობრძანდითო. კაცი რომ ვერ ინატრებს, ის მოხდა დღესო, — ამბობდა ინსპექტორი, რომლის სახეზე სიხარულს მკაცრი აერი წაეშალა.

ნოდარი ზღაპრით გადმოვიდა მანქანიდან და ჰკითხა:

— ძამა, მითხარი, აი ოდა აქ იდგა და საგუშაგო ახლოს გაიკეთე თუ იმ საგუშაგო ააშენა ეს ოდა, სასახლეს რომ შვავს?

— მაგი საგუშაგოა ჩემი დამლუპველი, ვინც დევიჭირე, ყველა თქვენსავე პატივსაცემი კაცი აღმოჩნდა და ასე თუ გაგრძელდა, მოუწევს ოდას გაყიდვა! — ეს თქვა ინსპექტორმა და იყვინა: — გამოდით, ხალხო, გარეთ. მიიღეთ სტუმრებიო. შემოგვგებნენ ოჯახის წევრები, მეზობლები. შეიქნა გურულების სხარტი აზრების ჭახაჭუხი. ერთი მეზობელი მოხუცი დიდი სიდინჯით ათვალერებდა ჩემს „მოსკვიჩს“. როგორც ეტყობოდა უკვირდა, ამდენი ნაწილი რომ აკლდა: წინ—ფარანი, მარცხენა, უკან—ფრთა

და მთელი წვრილმანი... ჯერ იკითხა, ვისიო, მერე დამრიგებლური ტონით მითხრა: აი, ბიძიბო. უნდა დანეროთ მთავრობაში, აუხსნათ, ის, რაც არ სჭირდება მანქანას და ზედმეტად წყვეთებენ, ტყვილა ხარჯია, მეტი აფერი და დეინგრევა, ასე ეს ყველაფერი. მერე სერიოზული ტონით მკითხა: ისე, ხრამ-დადისო.

— კი, ბატონო, სულ ასი კილომეტრით მოვდიოდი-მეთქი.

— უყურე შენ. კიდომ კაი, რომ უკან ფრთაი არა აქვს, თვარა იფრინდი, ბიძია, და აქ ვერ შეგვდებოდითო.

აი, დროს ოდაში ტრიალებდნენ გურული ქალები. ქვევით კი ჯანჯუხა და თაფლის არაყი გამოეტანათ.

ჩემი ცოდნის დასამტკიცებლად არაყის ჭიქას ხელსგული დავავარე და შევანჯღრიე. ეტყობა, არაყი რბილია, ჯავფი არ გაიკეთა-მეთქი.

— ბიძიკო, მაგი დალიე შენ და ჯაჭვი ვის დასჭირდება გასაკეთებელი, ნახავ! — მითხრა მოხუცმა კეთილი ღიმილით, მერე თვითონაც გადაკრა და ოდაში მიგვიპატიჟა. ახლა ნოდარი ჩაერთო თავისი მოულოდნელი ენამახვილობით, შემდეგ უბის წიგნაკი მოსთხოვა ავტომანქანისკენ, ჩემი ხელით უნდა ჩაგინერო თბილისის მისამართით. როცა წერდა, რალაც შეეშალა, ფურცელს ხომ არ ამოხევედა და იქვე მდგომ პატარა ბიჭუნას სთხოვა, ჩემო ბიძიკო, საშლელი გეგნება, მომიტანეო.

— მე, ბიძია, უშეცდომოდ ვწერ.

— რა თქმა უნდა, დანერს, — დასძინა მოხუცმა. — პირველ კლასში რომ „აი ია“ დანერა, იმის მერე აფერი დაუნერია.

ლხინი მართლაც ეს იყო. სიხარულით და სიყვარულით სავესტო ხარობდა ნოდარი, ხარობდა მასპინძელი. იყო სიცილი, ზანზარება და ოდა. „ადესის“ ანდამატი ავსებდა იქაურობას. ნოდარს ხუმრობებს ექოსავით უბრუნებდა მოხუცი. ბოლოს მახსოვს, — ახლა იქ, იმ საგუშაგოზე შენმა უფროსმა რომ ჩაიაროს და ვერ განახავს, რას შობი მაშინო? — იკითხა ნოდარმა.

მოხუცმა სხარტად მოჭრა: — მაგის უფროსმა იცის, იქ, საგუშაგოზე თუ არ არის, ესე იგი, ამ საგუშაგოზეა და გაჩნდება აქო.

საოცარი მოხუცი გახლდათ ბატონი სანდრო. როგორც ტყვიას ტყვიაში, ისე სვამდა სიტყვას სიტყვაში.

— იმ არაყის შემდეგ, მგონი, „ადესა“ თავში ავიდა-მეთქი, — ჩავილაპარაკე.

— მაგი აფერია, ბიძიკო, მაგი „ადესა“ ორმოცმეტრიან თხმელაზე ადის, ნუ შეგეშინდება, გამაგრდი! — ჩამილაპარაკა მოხუცმა...

მე და ნოდარმა გურული სიმღერა „გურულებსა“ წამოვიწყეთ. მერე ალარაფერი მაგონდება. ისე, ვინ იცის, რა არ ითქვა ან რა არ იხუმრეს... თუმცა ერთი კი კარგად მახსოვს: საღამო ჟამს ნოდარმა და მე გურიის მთებს აივნიდან შევეუკიფინეთ!

დილით დავემშვიდობეთ ცინცაძეების ოჯახს. ინსპექტორმა სამტრედიამდე ჩავაცილა. გურიაში მის შემდეგ ერთხელ ვიყავი უნოდაროდ. იმ ჭიშკრის დანახვამ სევდა მომგვარა და გამახსენა ყოველივე ის, რაც გიაბმეთ.



მ. ბერძენიშვილი. მემორიალი „მზიურში“

პიტიხელ ნოღარმა მითხრა. აბანოში ხომ არ წაიდეთო! ეს იყო დახლოებით 1958 წლის ზაფხული. მაშინ აბანოში თუ წაგიდოდა კაცი ტანის დასაბანად, თორემ სახლში აბაზანა და შხაპი, რას ამბობთ, ვის დაესიზმრებოდა (ჩვენსაირებს მაინც). კიმეთქი, ვუთხარი. — რამდენი ხანია, არ გიბანავია? — მკითხა. მე ვუთხარი. წინა კვირას ვიბანავე-მეთქი. — მე, აბა, ორი კვირაა არ ვყოფილვარ აბანოშიო. ნოდართან ნდობა ასეთ დელიკატურ საკითხში არცთუ ისე ადვილი იყო. ეპკით გაეხედე. — კიო, — ძალიან დაბეჯითებით მითხრა. — მაშინ მე სამი კვირა იქნება, რაც არ მიბანავია-მეთქი. სხვანაირად გაიცინა. ჩემიც ეწინააღმდეგეთქი. — ხომ არ ცრუობო? — დამაფრთხილა. არა-მეთქი, — დავიფიცე (ჩვენსაირებს ხელი მქონდა მიღებული). დიჯერა და მიამიტური გულუბრყვილობით გამომყვა. — აბა, თუ სულ სიმართლეს წავიდა საქმე, ორი თვეა აბანო თვალით არ მინახავსო! დავფიქრდი, ასეთ დროს, კაცი ბეჭვის ხიდზე რომ გადის, ის აქ მონაგონი იყო. ვაითუ გავეხსნა და მერე შენ გააჩერებ დუმბაძეს? იქნებ ბლუფია ყველაფერი? „ზარია ვოსტოკას“ შენობის სახურავზე ავა და იქიდან გადასახეხებს თბილისელებს: — ხალო! მალაზონია ტილებმა შეჭამაო! — ერთი თვის წამატება გავრისკე, მანაც დაუმატა ერთი იმდენი. ბოლოს ასე მოვრიგდით: კონტრაქტი ექვს-ექვს თვეზე გავაფორმეთ, რომ აბანო და მექვის არც მას და არც მე რ თვე თვალით არ გვინახავს. მორჩა და გათავდა!.. ისე, ოჯახში თუ ცოლები წვილ-კივილში თითო ჩაიდანი ცხელი წყლით ხანდახან თავს ან ფეხებს ძალით გადაგვბანინებდნენ, ეს სათვალავში არ ჩავვიგდიო.

დამთავრდა თუ არა სამსახური, რედაქციიდან ფეხით წავედით ვერის აბანოსკენ. გზაზე უჩვეულო აზრი ამეკიატა, რომ არ ღირდა ასეთი იშვიათი შანის ხელიდან გაშვება. რაც შეეხება ჩვენს „ტურტლიანობას“, ლეგალიზაციას ოცნებაც კი არ შეიძლებაო, რადგან კონტრაქტით გათვალისწინებული ვეტო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა პირობის დამრღვევის მიმართ. მაგრამ ეს როდი გამორიცხავდა იმ არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს, რაც შესაძლოა უხვად გამოვლენილიყო ისეთ ექსტრემალურ სიტუაციაში, როგორიც იყო ჩემი და ნოდარის ერთად აბანოში წასვლა.

იმხანად ჩვენ ბევრ რამეში ვბაძავდით ერთმანეთს და ბევრშიც ვგავდით. ორივე ნოდარები ვიყავით, ორივეს მამებს ვლადიმერი ერქვა, დედებს — მარგო და მარიამი, ჩვენი მეუღლეები ერთ დღეს და ერთ წელს არიან დაბადებული და ორივეს ნაწული ჰქვია, ქალიშვილებს — შანანა. კიდევ იყო რაღაცები და, თუ არ იყო, უბრალოდ ვიგონებდით, რადგან ეს ორივეს დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა. — კომპოტზე ვგიჟდები! — იტყოდა ერთი. — მეც! — იტყოდა მეორე. — აუ, რა იყო ომის დროს „პავიდლო“

ნოდარ მალაზონია



და პური?! — ვიტყვოდი მე. — ნენა ნუ გამახსენებ! — იყვირებდა დუმბაძე. — ნოდარ! — წამოვიწყე შუა გზაზე ჩემი ლეგენდა, — მე, ბიჭო, პირველად აბანოში რომ შევალ, უბრალოდ წყალს გადავივლებ და ასე უსაპნოდ ვიხეხები. — მეც! — გაუხარდა ნოდარს. — მერე ხუთი წუთი აბაზანაში ვწევები. — ზუსტად მეც ასე ვიცი, ამის დედა ვატყობ! — შემოპკრა ტაში ნოდარმა. — მერე ცოტას წავთვლემ კიდევ! — აუ, მეც! — არ გავაწბილე ნოდარი, თუმცა მსგავსი რამ არასდროს გამიკეთებია. — მერე ცხელ წყალს გადავივლებ და მერე საპონი და მისი-ჯანი! — მეც, მეც! — ვყვირი მე და მიხარია. — ნოდარ! — მინდა მივუახლოვდე სათქმელს, მაგრამ ასე ადვილია? მეშინია, ამდენი ნაშრომი წყალში არ გადავყარო. გავიფიქრებ თუ არა, რაც უნდა ვთქვა, სიცილისაგან ვიგულები. — რა მოხდა? — უკვირს ნოდარს. — მითხარი, ბიჭო, მეც გავიცინებ. — როგორც იქნა, ამოვღერდე: — მე როცა ვიბან... — არა, ვერ ვახერხებ თქმას. — თქვი! — გიჟდება ნოდარი. — როცა ვიბან... — ისევ ვიხრჩობი სიცილისაგან. — ე, ბიჭო, თქვი! — ხელით მანჯრევს ნოდარი. — სიცილი მიტყდება, — კაცო, რა ვთქვა მეტი?... — რატომ, ის თქვი! — ისევ მანჯრევს, — როცა ტანს ვიბან, მაშინ მეცინება... შეენც?... — როგორც იქნა ამოვთქვი. — მეც! მეც მასე ვარ ბიჭო! — უცებ ამყვა, — მეც მეცინება გიჟივით და რაა ნეტავ მაგი, ა?... — ეს თქვა და თვითონაც გაიგულა სიცილისაგან. ამაზე გული კინლამ გამეპარა. არადა რა ექნა, როგორ მოვახერხო იმ მთავარის თქმა? უკვე ცაიტროტში ვარ. ბილეთებიც ავიღეთ და, ის-ისაა, ნომერშიც უნდა შევიდეთ. ვცდილობ ნოდარზე გვიან გავიხადო. ასეა საჭირო საქმისათვის. ნოდარი მღერის და მეჩვენება, რომ ძალიან ნელა იხდის. საქმე ისაა, რომ ჯერ ის უნდა შევიდეს აბანოში, მერე — მე. რატომ? იმიტომ, რომ მისი 42 ნომერი ტუფლები მე დავიღავო, ჩემი 44 კი მას დავუწყო. და, რაც მთა-

ვარზე მთავარია, ვთქვა, როცა ტანს ვიბან, ფეხები მიპატარავდება-მეთქი. მაგრამ ამის თქმა არ გინდა? დავიწყებ, დავიწყებ კი არა, გავიფიქრებ თუ არა, იმ წამსვე სიცილისაგან ვიგულები. აბა, როგორი სათქმელია ის, რომ ცხელი აბაზანიდან გამოსულ კაცს ფეხები გიპატარავდება! თან ნოდარის გულუბრყვილობას რომ წარმოვიდგენ და იმას, თუ ამაზე რას მიპასუხებს, მე უკვე ჩემი მემართება. როგორც იქნა, შეტყაპუნდა სიმღერ-სიმღერით აბაზანაში. სასწრაფოდ ვეცი მის ტუფლებს და ჩემს ტანსაცმელთან დავაწყვე, ჩემი კი მას დავუღაგე (ორივეს ტუფლები გარეგნულად ძალიან ჰგავდა ერთმანეთს). მაგრამ მთავარი, აკი მოგახსენეთ, ჯერ წინ იყო...

— ნოდარ, ბიჭო, იცი, რა გამახსენდა? — ვთქვი და თავი შხაპს შევეშვირე. — როცა ვიბან, ფეხები მიპატარავდება.

— აუ! — უცებ შეიცხადა ნოდარმა, — ბიჭო, ნოდარ, ეგ რა მითხარი?! მე, პირიქით, მიდიდებ! — კინლამ დავეკარდი. თქვენმა მტერმა დაიბანოს ისე, როგორც მე იმ დღეს დავიბანე. ამაში ნამდვილად დავცილობ ერთმანეთს. — კი მარა, რანაირად, ბიჭო?! — უკვირს ნოდარს და ისევ აგრძელებს: — არა, ძმაო, მე, პირიქით, მიდიდებ და შენ გიპატარავდება?! აუ, გადავირევი კაცი!..

ახლა მთავარია ნოდარმა მომასწოროს ჩაცი. მე ისევ ვზოზილობ, გულს ბრაგაბრუგი გააქვს, პა და პა, საცა ნოდარმა ჩემს ორმოცდაოთხ ნომერ ტუფში უნდა ტუტოს ფეხი და... ტუტა კიდევ! — ვაიმე, ბიჭო ნოდარ! — ამაშიც არ გვგანებია ერთმანეთს?! ნახე, მეც მიპატარავდება თურმე! — თქვა ეს, ფეხი მალა ასწია და ჩემი ტუფი ფეხზე შეათამაშა. ახლა კარგად არ მახსოვს, მგონი გადმოვვარდი საჯდომიდან. სული შემეხუთა სიცილისაგან და მგონი ვიხრჩობი...

ნოდარი გაშრა. ერთსაათიანი ლეგენდა-ფარსი მისთვის სრული კატასტროფით დამთავრდა. მან უხმოდ, ზოხლით წაიძრო ჩემი ტუფი და ჩემკენ ისროლა.

გარეთ ჩუმად გამოვედით. თვითონ ცდილობს წინ წავიდეს. რამდენიც მივუახლოვდი, იმდენჯერ ნაბიჯით წინ გარბის.

— მემღერი?

— კრეტინი ვარ! — არ დამიყოვნა პასუხი. — კრეტინი! — ბოლო სიტყვა დამარცხებით მითხრა.

— რატომ?

— რატომ? ჩამეცვა უნდა შენი დამბალი ტუფლები, გამოვსულიყავი გარეთ და ერთი იმასაც ვნახავდი, შენ როგორ ჩაატედი ფეხებს ჩემს ტუფლებში!

— ?!

— მერე გდებულები იქ ან გერბინა ჩემს უკან ფეხშიშველი!

აფსუს!.. არადა, ეს მართლაც ფენომენური დაბოლოება იქნებოდა. მაგრამ ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ინტუიციამ უმტყუნა ნოდარს.



ამბოტან, სიცოცხლე თავისი ბუნებრივი ფორმულა აქვს — ადამიანი მანამდე ცოცხლობს, სანამ ვინმე იხსენებს. ეტყობა, ეს არის ნუთისოვლის უპირველესი მაღალი და ქვეყნად ადამიანის მოსვლის გამართლებაც. რაც შეეხება მწერალს, ეს ფორმულა ასე ესადაგება: მწერალს იმდენი სიცოცხლე ენიჭება, რამდენი მისი დაწერილი თუ ნათქვამი სიტყვაც ხალხს რჩება სახსოვრად და რამდენჯერაც მის ნათქვამს მავანი და მავანი გაიმეორებს.

ვზივარ ახლა და ფიქრით თავს ვიმტვრევ: რამდენი სიცოცხლე მომძალა ღმერთმა თუ ბუნებამ სამზეოში შეუსვენებლად მოსიარულე კაცს — ნოდარ დუმბაძეს, იმავე ჯვრზე დუმბაძეს, მინამ სიცილ-ტირისის ძუძუ რომ აწოვა და მზემ თავისი გულთამაზობა დაანათლა?

ამოცანა გვეკოტხება: რამდენი ადამიანი კითხულობს დღეს დე-დამინის ზურგზე გადაშლილ მის წიგნებს? რამდენი იმეორებს სიყვარულით ამ მწერლის სახელს წიგნის გადაუფურცლავად? რამდენი ადამიანი უყურებს სცენაზე წარმოდგენილ თუ ფილმად ქცეულ მის რომანებს და მოთხრობებს? რამდენი ადამიანი იცინის ან ტირის, უფრო ხშირად კი რამდენი ცრემლმორეულად იცინის და სიცილით იცრემლება?

ტრაგიახად ნუ ჩამოვართმევთ და, დიხავს მემარჯვებოდა სკოლაში მათემატიკა და არც მერე წამართმევია ეს უნარი (თუ ჩემით არ მოვიტყუებ თავს, ვერც ერთი დახლის თუ ბაზრის კაცი ვერ მატყუებს ანგარიშში), მაგრამ ეყოფა კი ეს ჩემი დიდი ცოდნა ნოდარ დუმბაძის სიცოცხლის დათვლას? არ ეყოფა, თუნდაც ცოლ-შვილი, ნათესავ-მოყვრები და მეზობლებიც მოვიშველიო!..

ანდა მარტო ჩვენ რა შუაში ვართ, ეს ამოცანა უჩველადაც ამოუხსნელი რჩება. დღეს მთელ მსოფლიოში ყოველგვარად შეუძლებელია, თუნდაც საუკეთესო მათემატიკოსთა ურიცხვი რაზმი თავიანთი ინსტიტუტებიანად მხოლოდ ამის დასაანგარიშებლად დავასაქმოთ. აინტერესებს ფარდობითობის თეორიისა არ იყოს, ასე შეერწყა უსასრულო სამყაროს ნოდარ დუმბაძის უსასრულობა.

და რაკი არავის ხელენიებდა ამის მოგვარება მიახლოებითი დათვლითაც კი, წყლის ნაყვას მოვეშვათ ყველანი და ამ რთულ საკითხის დაზუსტება უფრო განვითარებულ ოცდამეერთე საუკუნის კოსმოსურ ხელსაწყოებს მივანდოთ, ხოლო მანამდე დაუთვლელად იარონ და იარონ ერთ უღელში შავ-თეთრი ხარივით წყვილად შებმულმა მისმა სიცილმა და ცრემლმა, გაუხალვათონ დედამინას გული, ანუგეშონ ადამიანები!

მე კი დღეს ისლა დამრჩენია, რამდენიმე ნამცეცა ამბავი გავიხსენო და ნოდარ დუმბაძის სიცოცხლის ზღვას ცვარ-ნამი მივუმატო.

ერთხელ დემნა შენგელაია ჩამოდის მწერალთა კავშირის სასახლის კიბეზე და ხმამალა იცინის, თან ცრემლები სცვივა. — რა გაიცინებო, — ჰკითხა დავით გაჩეჩილაძემ. — ნოდარ დუმბაძემ იმისთანა ანეკდოტი მაჯახა. ჰა, ჰა, ჰა, მოვდივარ და თავს ველარ ვიკავებ, სულ მეცინება, ჰა, ჰა, ჰა! — მაინც ისეთი რა გაჯახა, მომიყევი და მეც გამაცინე, — უთხრა დავითმა. რა მაჯახა, და... — დემნა უცებ მოსხიპა სიცილი. — ვაი, დამაინყდა! — და სიცილი მაინც განაგრძო ადრინდელივით. — ა, შეხედეთ, შეხედეთ, — კაცო! მოგვიბრუნდა ჩვენ დავითი, — ასსოვს, ძალიან სასაცილო რაღაცა რომ უამბო, ის კი აღარ — რა! სიცილის გრძნობადა შერჩა. რა შეჩვენებულია ეს ჩვენი ნოდარი, რა ჯადოსნური მოყოლა იცის!

აი, თვითონ ნოდარის მოყოლილი:

— ერთმა კომბინატორმა შემომჩივლა: აღარ შემიძლია, სულ დაჭრა მეღანდება, აქაურობას უნდა მოვმორდე, წავალ სოფელში, ავიღებ ბარს და ბაბუაჩემის დანატოვარ ვენახს მოვუვლი. — ე, სწორედ მაშინ დაგეგმე-მეთქი. — რატომო? — გაიკვირვა. — ეგონებათ, რომ იქ დამარხულ ფულსა თხრი და შენისთანები სანამ მართლა არ გაპოვინებენ და არ წაგართმევენ, სულს წამებით ამოგხდიან-მეთქი.

ისე ნოდარის ნათქვამი:

— მწერალმა მწერალს არ უნდა უთხრას, ისე ვარ, როგორც მკითხულობ, ეგებ ის მეორე სულაც არ კითხულობს.

— ერთი ჩემი ნათესავი ქალი ტელეფონით იმდენი მელაპარაკა, ახალგაფენილი სარეცხი არა მარტო გაშრა, ისე გაშუმდა, წყალი ვასხით, ვასხით და მაინც ველარ დავალბეთ, რომ გაგვეუთოებინაო.

ვერ გეტყვით, რამდენად ესადაგება ნოდარ დუმბაძე სოციალისტურ რეალიზმს, იმის თქმა კი დამარწმუნებელი სითამაშით შემიძლია: სიცილოვლები და სიცილომცოდნეი ცალმხრივად ამტკიცებენ ხოლმე, რომ ნოდარ დუმბაძე არის სიცილისტი. ივიწყებენ, რომ მისი სიცილისტობა შეზავებულია ცრემლდენისტობასთან, მისი სიცილის უფრო ცრემლზეა მოხელილი და ცრემლზევე გამომცხვარი, ამიტომაც უფრო გემრიელია.

„ასერგასის“ ავტორმა, ჩემმა მასწავლებელმა **ნოდარ დუმბაძე** ლავამ მიიხრა:

— ერთხელ მე და ნოდარმა მანქანით ერთად ვიმგზავრეთ. შორს მივდიოდით. ნიუნბერგის პროცესის ამბები მოვუყავი. შემეხვეწა: ეგ შენი ნაამბობი წიგნად დაწერი, თორემ დაგსჯამ, უფრო დაწვრილებით გაამბობინებ კიდევ და მე დაწვერო. წამაქება და სწორედ ნოდარის წყალობაა, ეს უზარმაზარი წიგნი რომ დავწერეო.

16 აპრილი, 1988 წელი. ბიჭვინთა. სომეხი მწერალი აზატ შაგინიანი მიაშობს სიყვარულით: ნოდარ დუმბაძისთანა გულისკაცი იშვიათად მინახავს ქვეყნად. იალტაში ვართ. იქ არის ნოდარიც. სასადილოში მომტან გოგოს აქვარა ერთი: ეს რა მომიტანე, კარტოფილი შეუწავია. ახლავე უკან წაიღე, თორემ თევზიანად თავზე დაგამბობო! მომტანმა უთხრა, რომ არ არის შეუწავი. გოგოს გალანძღვას არ დასჯერდა კაცი, უშვერი გინებით გაუმასპინძლა და აატირა. ნოდარი წამოდგა და მიიჭრა იმ კაცთან: დაიბრკივე გოგო, ვაჟკაცო? შე უკულო, როგორ იქცევი, არა გრცხვინია? ეგ კარტოფილი მარტო შენთვის ხომ არ მოუტანიათ, გინმემ თქვა საყვედური? გოგომ მხოლოდ სიყვარულისთვის უნდა იტიროს, კარტოფილისათვის ცრემლები როგორ უნდა აღგრივინო? მაღლომ ღმერთს, ქრისტიანი ვარ, თორემ ერთს რიგთან-პირთან დაგასილაქებდით. მერე მე მიიხრა: ბევრ რამეს ვაპატიებ ადამიანს, მაგრამ ქალის შეურაცხყოფას კი არაო.

ყველა ჩემს მოგონებას ნოდარის ხმაც ახლავს, ამიტომ უფრო მსიამოვნებს.

ახლა კი თვითონ ნოდარს მინდა უწინდებურად გავესაუბრო.

— ეგება არც იცი, ძამა, შენს გამო ორი საყვედური რომ მრევს კინკრისხში? „ბებიას“ პრემიერას რომ დავესწარი მარჯანიშვილის თეატრში, მეორე დღეს სტამბაში მორიგე ვიყავი, იქვე დავწერე ინფორმაცია და ვინმეს წაუკითხავად ჩავდე გაზეთში. რედაქტორმა ის დაბეჭდვის შემდეგდა წაიკითხა და... ვინ დაწერაო, გაბრაზდა. ვთქვი, რომ მე. მერედა, ეს რა სისულელე დაგინერია: ხალხი მთელი ორი საათის განმავლობაში გულიანად ხარხარებდა და წარმოადგენა სიცილის ზეიშად იქცა, ბოლოს აღფრთოვანების ტაში დიდხანს არ დამცხრალო. მე არაფერი მომიგონია, ნამდვილად ასე იყო-მეთქი, მიეუგა. უფრო გაბრაზდა: რამდენ შაყირულ ლაზანდარობაზე ქააფშუტა მაყურებელი გაიცინებს, ეს ნამდვილი სიცილის ზეიშად კი არ უნდა მოგნათლოთ ჟურნალისტებმაო!..

და ბრძანებით გამომიცხადა საყვედური.

მაღე გავიგე მისი განრისხების მიზეზი: თურმე დიდი სკამის ერთ კაცს შენი რომანი არ მოსწონებია, გურულები გაგამასხარაო, და რაკი ეს სცოდნია რედაქტორს, შეშინებია, ვითუ ჩემს გაზეთში დაბეჭდილი ეს ინფორმაცია წაიკითხოს და საწყენად დაურჩესო, თავის გასამართლებლად დამსაჯა მე.

გავიდა არცთუ ისე დიდი დრო. გაზეთში იმავე სპექტაკლზე დაიბეჭდა აღფრთოვანებული რეცენზია ორიოდ ნამცეცა შენიშვნითურთ — ვინ მოამზადა მასალა? — იკითხა რედაქტორმა. ჩემს ხელმოწერას ხომ ვერ უარყვოფდი, — რეცენზია მე მოვამზადე. მაგრამ ის ქება-დიდება მე ხომ არ დამინერია-მეთქი, ვიმართლე თავი, შენიშვნები რატომ არ ამოშალე, ნოდარ დუმბაძის რომანი ხომ დიდებული ნაწარმოებია და სპექტაკლიც შესანიშნავია, უნაკლო, გიცხადებ საყვედურსო!

მეორე საყვედურის მიზეზიც მალე გავიგე, ძამა! თურმე ვისაც შენი რომანი გურულების გამასხარავებდა მიაჩნდა, იმაზე დიდი სკამის კაცი დასწრებია წარმოდგენას, ძალიან მოსწონებია და ბევრიც უყვინა გულიანად. აბა, ეს გაუგებარი როგორ დარჩებოდა ყურფხიზელ და თვალფხიზელ რედაქტორს და... დავისაჯე ისევ მე. გამომიტყდები: ეს ორივე საყვედური დედის რქესავით შევირგა.

კიდევ რას გეტყვი, იცი? ყოველ შეხვედრაზე რომ მომამახებდი: რავა ხარ, პიტლერის სისხლით პირმოთხვრილო კაკოია გენაძე, აქამდე პირი ვერ ჩამოიბანეო?!. და ჩემზე სხვებსაც აცინებდი, კი არ დამვინყებია!

მე გურული კი არა ვარ, ადრევე რომ შეეფუცხუნებულყავი ან გაგებრაზებულყავი, რატევი ვარ სულიან-ხორციანად, გული გვიან მომივიდა და ბოლოს ბებიაშენ ოლასავით უნდა დაგწყევლო:

შენ არ მოუკვდი მთელ გურიას, შენ არ მოუკვდი საქართველოს და შენ არ მოუკვდი მთელ მსოფლიოს უკუნიით უკუნი-სამდე! ამინ! ესეც შენ! ესეც შენ! ხომ ვიხელთე დრო და ვიძიე შური სასტიკად, ხომ მოვიფხანე გული მაგრად!

ვაუბატონო, პიტლერის სისხლით პირმოთხვრილს რომ დამძახოდი ხოლმე, მე ვიმჩნევდი იოტისოდენა წყენას მაინც? და და მინა მყავს მონმედ, არ ვიმჩნევდი! პოდა, ნურც შენ გენყინება ეს ჩემი წყევლა! შეგარგოს ღმერთმა!



ქართული საყვარელი ბაბუა

ნოდარ დუმბაძეზე შემოძლია რამდენიმე დღე შეუსვენებლივ ვილაპარაკო, არც დავილუბი და არც სალაპარაკო შემომღეფა. ჩემი აზრით, ასეა ყველა მისი მეგობარი გამოუკლებელივ. ამის მიზეზი კი ისევ ნოდარის დიდი კაცობა, ურთიერთგაგებისა და ურთიერთმეგობრობის ნოდარისებური საიდუმლოებაა. ვისთანაც საუბრობდა, მის სულში იხედებოდა. იუმორით ავსებდა ყველას თავის გარშემო, ნოდარი მზე იყო ქართული იუმორისა!

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, იტყვიან. ნოდარი კარგი მთქმელი იყო, არც კარგი გამგონენი აკლდნენ.

რამდენიმე გახსენება...

— : — : —

— ბიჭო, რაფარც შენ ყოფი ამბავს და ლაპარაკობ, მასე რომ ნერდე, მე შენთან აფერი არ ვიქნები! — მითხრა ნოდარმა და თანაც მისებური გემრიელი სიცილი დააყოლა.

— რა ცოტა რამ მკლებია!.. ხვალდან როგორც ვილაპარაკებ, ისე დავწერ, ვნახოთ, რა გამომივა-მეთქი, — ვუთხარი. ამაზეც ბევრი იცინა.

— : — : —

„ნინავის“ რედაქციაში ხშირად მოდიოდა ქართლოს კასრაძე. იგი ნოდარს ძალიან უყვარდა. აფასებდა მის ხალას ნიჭსა და იუმორს. ქართლოსი ანეკდოტებს ჰყვებოდა. რედაქციაში მოჰქონდა თემები ნახატი კარიკატურისათვის, ფრაზები, ნაკვეთები, ფელეტონები... ნოდარი უბეჭდავდა.

ერთ დღეს რედაქციაში მოსული ქართლოსი რაღაცას ჰყვებოდა, ნოდარი ყურს უგდებდა, არაფერს ლაპარაკობდა. კარგა ხნის შემდეგ გააჩერა ქართლოსი და ღიმილით უთხრა:

— კაი ბიჭი ხარ, ძამა, შენ, მარა სანამ ცნობას არ მომიტან, რომ ნორმალური ხარ, ვერაფერს ვერ დაგიბეჭდავ!

ქართლოსს თითქმის ყურადღებაც არ მიუქცევია ამ სიტყვებისათვის, კვლავ გააგრძელა მისებური ანეკდოტების მოყოლა.

გადის რამდენიმე დღე. იღება რედაქციის კარი და ქართლოსი გახარებული (თუმცა მოწყენილი იგი არასდროს არავის უნახავს), ხელში აფრიალებული ქალაქი შემოდის. ქალაქს ჩემს მაგიდაზე დებს და მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით შემომცქერის.

ვკითხულობ: „ქართლოს დავითის ძე კასრაძე არ არის გიჟი, იგი ნორმალურია“. აღნიშნული სიტყვები ფსიქიატრიული დისპანსერის ბლანკზე იყო დაბეჭდილი და მას საკმაოდ ავტორიტეტული ხელმოწერა ადასტურებდა. სიცილით გული რომ ვიჯერე, ქართლოსს ვუთხარი:

— შედი, ნოდარი კაბინეტშია და მიუტანე ეს ცნობა!

ქართლოსი ნოდარის კაბინეტში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ მეც მივეყვი. სწორედ იმ დროს შევედი, ნოდარმა ცნობის კითხვა რომ დაამთავრა და სიცილ-ხითხითი ფეხზე წამოვარდა. ცნობა ქართლოსს გაუწოდა, თან სიცილით იხრჩობოდა:

— წადი, ძამა, ახლა იმის ცნობა მოიტანე, ამის დამწერი რომაა ნორმალური!

— : — : —

ზაფხული იყო. ნოდარი საგურამოს აგარაკზე ისვენებდა. სანახავად ვენვიეთ. ნოდარი ჰამაკში იჯდა და ნანულის დედა — ქალბატონი ლიდა შემოგვეგება. ვკითხე: — როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ლიდა-მეთქი. ნოდარმა დაასწრო პასუხის გაცემა და მომაძახა: — მაგას რას ეკითხები რაგა, ქათამი გაგვეცა ზედაზენზე, დაიჭირა და ახლა ჩამოვიდა იქიდან, საკითხავი მე ვარ — ჰამაკიდან ვერ ვდგებიო!..

მეგობრული შარჟი გიგლა ფირცხალავასი

ყველასგან გამორჩეული

მართლმ „ნინავის“ რედაქციაში შემოვიდა ფრიად სიმპათიური შუახნის მანდილოსანი და მთხოვა ნოდართან შემეშვა. ცოტა ხნის შემდეგ ნამტირალევი გამოვიდა კაბინეტიდან. ნოდარმა შეშფოთებულმა მითხრა: არ ვიცოდი, რა მეთქვა და რით დამეშვიდებინა ეს ქალბატონი. ჟურნალში გაგვიწერია მისი ქმარი, რომელიც უკვე სამი წელიწადია სასჯელს იხდის კოლონიაში..

მეორე დღეს მოვიდა ნოდარი უხასიათოდ, მოთენთილი და შეუზნება: — მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე იმ ქალის ცოდვით!

სხვისი უბედურება ნოდარს გულთან მიჰქონდა და, საერთოდ, ვერ იტანდა ცრემლს!

— : — : —

ნოდართან თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ ახლო მეგობრები, რათა მოესმინათ მისი ხუმრობები და ეცინათ. მოვიდოდნენ მთხოვნელი, დაჯდებოდა მოსაცდელში და მოთმინებით ელოდა ნოდართან შესვლას. ხუთ წუთს თუ მოვაცდევინებდი, მერე გავიდოდი სხვა ოთახში და იქიდან დავურეკავდი ნოდარს მთხოვნელი გელოდებათ-მეთქი. მაშინვე დატოვებდა მეგობრებს, გამოვიდოდა, მიესალმებოდა, მოუბოდებოდა, გაიყვანდა რომელიმე თავისუფალ ოთახში და იქ მოუსმენდა.

— : — : —

როცა შევიკრიბებოდით სადმე ინტიმურ სუფრასთან, ჩემი სადღეგრძელოს დაღევისას, უთუოდ გამესურებოდა: გარდაცვალების შემდეგ თუ ჩემი ზელნაწერები მუზეუმში მოხვდა, თავი მომეკრება, სულ წითელი ფანქრით გაქვთ გადაჭრელებულიო, თან გულთანად იცინოდა.

ბევრი რედაქტორი მყავს გამოცვლილი გაზეთ „მუშის“ და ჟურნალ „ნინავის“ რედაქციაში, თითქმის ყველანი ერთ-მანეთზე უკეთესები იყვნენ, ჩემი საყვარელი ნოდარი კი — ყველასგან გამორჩეული!

მოსკოვური ეპიზოდები

მარშლის შესანდობარი

ეს იყო ალბათ თხუთმეტი წლის წინათ... მოსკოვში ვართ, სასტუმრო „როსიაში“. ჩვენს ლუქსში ვილაც ორი კაცი შემოვიდა, თითქმის დაუკითხავად... სასხვათაშორისოდ გვითხრეს, ჩვენ დღეს რამდენიმე საათით თქვენი სტუმრები ვიქნებით, ქართველები, გაგვიგია, სტუმართმოყვარე ხალხია და იმედია, მიგვიღებთ, როგორც სტუმრებსო.

ნოდარმა ბოთლიდან ხვანჭყარა ჩამოასხა ოთხ ჭიქაში, მე მომიჭახუნა და ხმამაღლა თქვა: გაუმარჯოს იმ რუსს, რომელმაც პირველად თქვა, „ნეზვანი გოსტ ხუჟე ტატარი-ნაო!“ ჩვენ ორივემ ხმამაღლა გავიცინეთ, იმათ კიდევ, ჩაიღიმეს და გვითხრეს: ზა ვას, ტავარიშჩიო!

კარგა ხანს უხერხულად ვისხედით, უფრო სწორად, ვიდრით. ერთი მიუბრუნდა ნოდარს და მიმართა: ნოდარ ვლადიმეროვიჩ — და, სანამ გააგრძელებდა, ნოდარმა უპასუხა: სლუ-შაიუს, ტავარიშჩ მაირო! — ვო პერვის, ტავარიშჩ პოდპოლკოვნიკო! — გაუსწორა იმ უცხო და ჩვენს შორის დამყარდა სრულიად ნორმალური ურთიერთობა.

— რა ხდება-მეთქი, — ვიკითხე.

— არაფერი ისეთი, მარშალს ასაფლავებენო, — იყო პასუხი. — სად ასაფლავებენ-მეთქი, და — კრემლის კედელშიო. ნოდარი ოდნავ ჩაფიქრდა, მერე სახეზე ეშმაკური ღიმილი მოადგა და თქვა: დაანგრევენ ესენი კრემლის კედელს, ნამდვილად დაანგრევენო! რატომ დაანგრევენო? — გაოცებულმა იკითხა მეორემ, რომელსაც ჩინი არ გაუმხელია. რატომ და, ძალიან ბევრს ასაფლავებენ კრემლის კედელში. გამეიღებენ აგურს და შედებენ ფერფლს, გამეიღებენ აგურს და შედებენ ფერფლს!.. დაანგრევენ, აბა, რა იქნებაო?!

ჩვენ კიდევ ხმამაღლა გავიცინეთ, იმათ კვლავ გაიღიმეს...

დაასაფლავეს მარშალი, ჩვენ ოთხივემ შევს-ვით მარშლის შესანდობარი.

პატარა ტრაგედია

კვლავ მოსკოვში ვართ. ყრილობის შემდეგ ორნი შევედით რესტორანში. უნებ-ლით ერთ ცუდ კაცზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

— მსგავსი გარეწარი არ შემხვედრია! — თქვა ნოდარმა, — ქაქი და მიმწოლი...

— მარა რა გინდა, იმას უძვრება და იოლას გადის-მეთქი!..

— იმას მაგი ვერ შეუძვრება, ძალიანაც რომ უნდოდეს, მაინც ვერ შეუძვრება! — თქვა ნოდარმა.

— წინ რა დაუდგება-მეთქი?

— რა და, სათვალე უკეთია და იმ კაცს არ უყვარს, როცა სათვალისანი...

— შე კაცო, მოიხსნის სათვალეს და...


— თუ მოიხსნის, ვეღარ დაინახავს და რო-გორღა?..

— აბა, არ ყოფილა მაგის საშველი და ეგაა! — ვთქვი მე.

— საშველი კია, მძინარეს თუ დეიხელ-თებს!..

არ გასულა სულ ოცი წუთი და ეს ქაქი და მიმწოლი უსათვალეზოდ შემოვიდა იმავე რესტორანში, ჩვენ თვალი აგვარიდა, წავიდა და მარტო დაჯდა კუთხეში, სულ მარტო...

— პატარა ტრაგედია დიდ ქალაქში! — თქვა ნოდარმა.



— აშაკო, ბალეტი „ოტელო“ ნახე?

— ვნახე, მაგრამ მართალი გითხრა, ოტელომ რომ დეზდემონა დაახრჩო, მერე თუ კიდევ იცეკვებდა, არ მეგონა!..

თემა ნოდარ ღუმბაძისა, ნახატი ნოდარ მაღაზონიასი (1966 წ.)

ახალგაზრდობის დროისა...

სიხარულით შევიტყვე, რომ კუპეში ჩემთან ერთად არიან ნონა გაფრინდაშვილი, ელისო ვირსალაძე და ნოდარ ღუმბაძე, უფრო სწორად, მე ვარ მათთან ერთად. ნონა ეს-ესაა გახდა ჩემ-პიონი, ელისო უკვე განთქმული პიანისტი, ნოდარსაც გამოქვეყ-ნებული აქვს რომანები, რომელ-თათვისაც კომკავშირის XV ყრი-ლობაზე დაწესებული ლენინური კომკავშირის პრემია ცოცხლებში პირველს მას უნდა გადასცენ (გარდაცვლილთაგან ნიკოლოზ ოსტროვსკის მიანიჭეს).

მოკლედ, საქართველოს კომ-კავშირის დელეგაცია სპეციალუ-რი მატარებლით მოსკოვს მიემ-გზავრება. უკეთეს კომპანიას ვერ ინატრებ.

გავიგე თუ არა კუპეს შემად-გენლობა, სპორტულ მაღაზიებს მივაშურე — ჭადრაკის საათი. მინდოდა მეყიდა, სერიოზული პარტიის თამაშს ვერ გავუბედავ-დი მსოფლიო ჩემპიონს, იქნებ „ბლიცში“ ავიყოლიო-მეთქი, ჭად-რაკის საათს ახლაც კი იშვიათად გადაყრები და მაშინ რას ვი-შოვიდი!.. კლუბს გამოვართვი.

როგორც კი დავლაგდით და დავწყნარდით, სწორედ იმ დროს, როცა ჩვეულებრივ, მგზავრი მო-ხარშულ დედალს იღებს ხელ-ჩანთიდან, მე ჭადრაკის დაფა, ფიგურების კომპლექტი და სა-ათი ცალ-ცალკე ამოვალაგე.

საზრისნობისათვის კომპლი-მენტს ველოდები.

ნონას სიცილი აუტყდა, ელი-

სომეხი გაცივრება: კი მაგრამ, მსოფლიო ჩემპიონს ვინ უნდა ეთამაშოსო? ნოდარი მეუბნება:

— ვიცო, შენ „ბაგაჟში“ როგორ გეგნება ჩაბარებული. თუ კაცს ხარ, მე ნურაფერში გამრევ!

ნონას ფიგურის ფორა ეთხოვე. არაო, თქვენ ხუთ ნუთს მოგცემო, მე ერთ ნუთს დაგიტოვებო.

ჩემი ნაგებული მეშვიდე პარტიის მერე ნოდარი მეუბნება:

— შენ რანაირი გურული ხარ?! ვერ ხედეგი?! ნონა ექვს-ნუთთან პარტიას გეთამაშება, შენი ხუთი ნუთიც იმისია და სწორედ მაშინ გინცობს კომბინაციებს. ჩაგირთავს თუ არა საათს, შენც მაშინვე უპასუხე, რა გენაღვლებს, როგორი სვლა იქნება... ჩაგირთავს — ჩოურტყი, ჩაგირთავს — ჩოურტყი...

ნოდარის მეთოდით მოსკოვში საყაიმო ანგარიში — 14:14 ჩავიტანე.

—:—

სასტუმრო „იუნოსტი“ მოგვთავსეს. სართულებსაც და რესტორნებსაც ყრილობის დღეებში სტუდენტები ემსახურებიან, ალბათ უშუალო განწყობილების შესაქმნელად. აბა, წარბახსნილი, თავაზიანი სასტუმროს თანამშრომელი ჭადრაკის საათივით დეფიციტით დიდ დედაქალაქში. კაფე-ბარში ვვახშმო. ჩვენი მაგიდა ულამაზესი „ბალანასია“, ისეთისა, ცხოვრებაში თუ შეგხვედრიათ ყმაწვილი ქალი, კარგი ოჯახიშვილობის დამალვას რომ ცდილობს და არ გამოუდის.

ნოდარმა ბუფეტის თაროზე უკრაინულ არაყს შეავლო თვალი და ჩვენი გოგონა მოინვია:

— ერთი ბოთლი „გორილკა“ ს პერცემ“ მოგვტანე!

მოგვართვა.

ბოთლს უკრაინული იარლიყი აქვს. უკრაინელები რუსულ თანადებულ „С“-ს გამობხატავენ ასო „ხ“-თი („ჰ“). მაშასადამე, გამოდიოდა „გორილკა“ „ვ“ პერცემ“.

ნოდარი — „ოფიცინტს“:

— არ გრცხვენია, მოტყუებას პატარაობიდანვე ეჩვევი?

— ბოდიში, ვერ მიგისვდით, რას გულისხმობთ?

— ჩახედე ბოთლში, რამდენი წინაა?

— ორი...

— ახლა იარლიყზე რა წერია, რამდენი უნდა იყოს?

— სამი...

— ჰოდა, წაბრძანდი, ბოთლი შეგვცავდე და შოკოლადიც მოაყოლე!

დარცხენილი, ლოყებაფაკული გოგონა ბარმენს მიეჭრა (მგონი, ისიც სტუდენტი იყო)

და გასაგებია, რის მტკიცებაც დაუნყო. ბარმენი ახარხარდა, მერე ყურში რაღაც უჩურჩულა. ჩვენი გოგონა დინჯი ნაბიჯით დაბრუნდა და გაბუტული გამო-მეტყველებით ბოთლი არაყი და შოკოლადიანი თეფში დაგვიდგა.

— შენ არაფერი გეწყინოს! — უთხრა ნოდარმა, — ჩვენ, ქართველები, ვინც მოგვწონს, იმას ვესუბრებით ხოლმე...

და გაღიმებულ გოგონას შოკოლადი გაუნოდა.

—:—

პირველ სხდომაზე ლ. ბრეჟნევი გამოვიდა. შესვენებისას დიდ ფუსფუსშია ყრილობათა სასახლის ფოიე. ჟურნალისტები პირდაპირ დაქრიან ილბიანი ინტერვიუს მოსაპოვებლად. ილბიანიად კი ითვლება ის ინტერვიუ, რომელშიც „ლირსეულად“ არის შეფასებული ლ. ბრეჟნევის „ისტორიული“ სიტყვა ახალ-გაზრდობისადმი. და დგას ირგვლივ ეპითეტების კორიანტელი. მათი მოძიების მოსურნე ტელევიზიის მუშაკების სამკაცინი ჯგუფი ჩვენც მოგვადგა. ერთი გვინათებს, მეორე გვიღებს, მესამე ნოდარს ინტერვიუს ართმევს.

— რამ მოახდინა ყრილობაზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება? გამართული რუსული, ოღონდ აქცენტით ნოდარი პასუხობს:

— ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, — და იგი კუბოს კარამდე დამრჩება, — იმან, რომ მოსკოვში მგზავრობის დროს დაგუახლოვდი და მთელი არსებით შევიყვარე ბრწყინვალე, დამატყვევებელი ერუდიციისა და სიტყვით გამოუთქმელი სულიერი სინატიფის ქართველი გოგონები ელისო ვირსალაძე და ნონა გაფრინდა-შვილი...

ნოდარს ფრაზა არ პქონდა დამთავრებული, დავინახე, როგორ გამოირთხს კორესპონდენტმა — დიქტოფონი, ოპერატორმა — ტელეკამერა და, ბოლოს, გამნათებელმა — „იუპიტერი“.

— მოიცა, მეგობრებო, გვითხარით, როდის ვიქნებით ტელევიზორში, ელისოს და ნონას გავაფრთხილებ... — დღეს, 7 საათზე, ყრილობის დღიურში...

რაღა თქმა უნდა, ნოდარის უიღბლო ინტერვიუ ეთერში არ გასულა.

დღემდე მეც არ ვიცი, ვინ დააკომპლექტა ოცი წლის წინათ ის კუბე, იქნებ, უბრალოდ, შემთხვევას უნდა ვუმაღლოდე, მაგრამ ის კია, რომ იმ დღეების სიტბო და სიხარული ნოდარ დუმბაძესავით მთელი სიცოცხლე მომყვება.

ბიოგრაფიული

„ასე მომჭრა თავი ნოდარმა“

გურიასში!..

ივანეშვილი

ასპანაში ჩავედი (ჩემი მეუღლე ასპანელია, ნოდარმა მისი გარდაცვალების საცოლე უნდა შეგვეჩინა).

უარი გვტყვის, საპატარძლოს თქვენი სასიძო არ მოსწონს, ბატონო!

ნოდარმა ხელები გაშალა და უსაყვედურა:

— ასპანელებმა ქართლოს კასრაძეს გამოათანეთ ქალი და ამ კაცმა რა დააშავაო?!

ასე მომჭრა თავი ნოდარმა გურიასში!..

რედაქციაში ნოდარს ერთი უხეირო ფელეტონი მივუტანე დასაბეჭდად.

გურული კილოთი მისაყვედურა:

— ფულს გამოგინერ. წერილშვილიანი ხარ, ძამა, მარა „ქართლოს კასრაძეს“ ნუ მოანერ, მტერი თუ გყავს ვინმე, ან ვინმეს ჯინი თუ გჭირს, მისი გვარი და სახელი მოანერე!

ნოდარი რუსთაველის თეატრთან შემხვდა.

— ნოდარ, ნახე „ჰამლეტი“?

— ვნახე, ძამა, გუშინ... ოღონდ ჰამლეტს თამაშს არ აცდიდა პოლონუხი. ეტყობა, შექსპირს შეეშალა — მაგ ტრაგედიას „პოლონუხი“ უნდა ერქვას.

* * *

როცა „ნიანგის“ თანამშრომლები „ქესატად“ ვიყავით, ნოდარის კაბინეტს მივუკაკუნებდით ხოლმე.

— ნოდარ ბატონო, სანეერო გაქვს გადასახდელი!

ნოდარი ჭერში აიხედავდა და დაღუჭავდა სიტყვებს:

— ღმერთო მოშალა!.. არ გადამინდია?.. — და ჯიბეზე გაიკრავდა ხელს.

ასე ვახდევინებდით „სანეეროს“ თვეში ოთხჯერ-ხუთჯერ. ერთხელ როცა „სანეეროთი“ ხელში კარებს მივაშურეთ, მოგვაძახა:

— ლუდში ნაკლები მარილი უქენით, მიშა კუხალას არ უყვარს!

* * *

ნოდარი ქუჩაში შემხვდა, მოვეხვიე და ვაკოცე. ექსპრომტად მითხრა:

— რა იქნებოდი შენ უტომატო? — ომში მებრძოლი უავტომატო!

* * *

შანი სიხარულიძემ მანქანით გამომიარა, წამოდი, ნოდარი ნევეს და ვინახულობო.

— ე ბიჭო, ფორთოხლები მაინც მივეტანოთ! — შევწუხდი მე.

— რად უნდა იმას ჩვენი მიტანილი ხილი? ფორთოხალი რომ მომენატრება, ნოდართან მივდივარ! — მიპასუხა ყანძი.

* * *

ჩემი ქალიშვილი გურანდა 53-ე სკოლაში ნოდარის ქალიშვილთან ქეთინოსთან ერთ კლასში სწავლობდა.

ერთხელ ნოდარს დიდი შეხვედრა მოუწყო სკოლაში.

გურანდამ, არც კი გამოუცხადებიათ, საკუთარი ლექსით მიმართა „ძია ნოდარს“.

ნოდარმა შეხედა და ისეთი სიცილი აუტყდა, კინაღამ სკამიდან ჩამოვარდა.

— უი, უი!.. ვიცანი! ქართლოს კასრაძე მაი, რაფერი გარდასახვის უნარი აქვს იმ პირანჯარდნოდ შეჩვენებულს!

ნოდარი გულთამხილავიც გახლდათ.

ერთხელ კაბინეტში შეკრებილებს გვითხრა:

— აი, ახლა შემოვა აქ ჩვენი მთავარი და რომელიმე თქვენგანს მიმართავს: — წადი, ჭიქა წყალი მომიტანეო.

მართლაც, კარი გაიღო, შემოვიდა მხატვარი და პირდაპირ მე მომმართა:

— წადი, ჭიქა წყალი მომიტანე! ისეთი ხარხარი ატყდა, მეგონა, ჭერი ჩამოინგრა!

მე და ნოდარი სარკმელში თმებს ვისწორებდით.

— ქართლოს, დაისხამე, მე რომ მოვედები, ჩემს მემორიალურ დაფაზე ჩემზე ყველაფერს დანერგე: „გამოჩინებულს“, „წარჩინებულს“, „უდიდესს“, მარა იმას, რომ მე ლენინური პრემიის ლაურეატი ვარ, შურიტ გამოტოვებენ.

ასედაც მოხდა. მის მემორიალურ დაფაზე არ წერია, რომ იგი ერთადერთია ქართველ მწერალთა შორის ლენინური პრემიის ლაურეატი! ამაზე იტყოდა ნოდარი: „რას იზამ, ძამა, ამფერია ქართველური შური და ბედოვლათობა!“

ქართლოს კასრაძე



1966 წლის ზაფხული იდგა. მე ნოდარ ღუმბაძის კაბინეტში როგორც ავტორი, ისე ვიჭექე. საუბრის დროს ტელეფონი აწერიალდა:

— გისმენო! — უპასუხა ნოდარმა. — გისმენო, ბატონო კონსტანტინე! — და იგი სკამიდან წამოდგა. — თქვენი იგავ-არაკები უკვე დაგებულა... აუცილებლად გამოგიგზავნით!

მერე ღილაკს დაჭირა და კაბინეტში კურთხე გოგონას დაუძახა:

— ამ კონვერტს წაუღებ ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას! აი, ამას წინათ რომ გაგაგზავნეთ, იქ!

— იქ უკვე მესამედ მივღივარ, მეტის გაძლიება არ შემიძლია!

— რატომ?! — გოცდა ღუმბაძე.

— მაგ კაცს თურმე ცოლიც ჰყოლია და შვილებიც...

— მერე შენ რა შუაში ხარ?! — გოცდა ბატონი ნოდარი.

— სასიყვარულო სიტყვებით მერაზობეება...

— კომპლიმენტებს გეუბნება, მაგი რაა... გოეთეს ორმოცდაათი წლით პატარა მარკიზა ულრიკე შეუყვარდა... და 19 წლის ულრიკე ცოლად მიჰყვებოდა!

— იცით, რას გეტყვით? მე ცოლიანი კაცების არსებობას ვერ ვიტან!

— მაცაღე, ბიძიკო, ახლავე დაფურეკავ ბატონ კონსტანტინეს და შენს მოთხოვნებს გადაცემ, თუმცა რა საჭიროა, ავთოს დავაღლებთ ამ საქმის მოგვარებას!

მე საფერძმო კონვერტი ამოვიღე ილიაში და პეტრიაშვილის ქუჩისაკენ გავეშურე.

1947 წელს აგებული კოლხურ კოშკს მივადექი. ალაყაფის კარზე რამდენჯერმე დავბარახუნე. ვიდაცა რუსმა გამიღო კარი. ქა-

რთული აგურით დაფენილ კიბის საფეხურებზე უმშვენიერესი ქალბატონი, ბატონ კონსტანტინეს მეუღლე, დიდად პატივცემული მირანდა ჩამოდიოდა. მე ყოველივე მოვასხენე (რა თქმა უნდა, კურიერი გოგონას პრეტენზიების გარდა), მერე სადარბაზოში შემოვივანა და დიდ მისაღებ ოთახში შემოვატეხა, იქ კი ქართული პროზის პატრიარქი ბატონი კონსტანტინე სავარძლის თავზე დაყრდნობილი იდგა და ვიდაცა რუსს დავაღლებებს აძლევდა. რომ დასრულა, ქალბატონ მირანდას მიმართა:

— რა ნებას ამ კაბუკს?

— ბატონმა ნოდარმა... აი ეს გამომატანა!

— ვაუწყებ მე და საფერძმო კონვერტი მივაწოდე.

ბატონმა კონსტანტინემ კონვერტი გახსნა, უღრნალი „ნაწილი“ ამოიღო, გაშალა და კითხვა დაიწყო. რომ ჩაათვა, მშვიდი მზერა მომაპყრო და მითხრა:

— კაბუკო ჩემმა მახსოვრობამ სხვა ასეთი ნიჭიერი რედაქტორი, როგორც ნოდარ ღუმბაძე, არ იცის! ამას წინათ ეგ თქვენი რედაქტორი მწერალთა კავშირში მორიდებით შემომეგება და ღიმილფენილმა მაუწყა:

„ბატონო კონსტანტინე! ზოგიერთი ვაისომეხი მეცნიერი რომ ჩემსულობდა, შოთა რუსთაველი სომეხიო, ახლანა დადგინდა, რომ რუსია: სიტყვა „რუსთაველი“ თუ გავყოფო, მივიღებო, რუსთაველი ს, ანუ „რუსეთის ველიდან“! ახეთი პასუხი ხომ მართლაც ლახვარია ვაიმეცნიერების მისამართით! — თქვა ბატონმა კონსტანტინემ და იქამდე იცინა, სანამ ზეგლება არ აუფარდა.

როცა ჩაწერდა, მკითხა:

— სიტყვა ხომ არ დაუბარებია?

რაკილა საზიარულო გარემო შეიქმნა. მე გავკანდიერდი და ბატონ კონსტანტინეს იმ კურიერი გოგონას პრეტენზიები მოვასხენე.

მან ჯერ იცინა, მერე კი მთელი სტილით ლოზით მოციქულობა დამავალა:

— ნოდარს გადაეცე, იმ ქალიშვილს შეაგონოს, რომ ქალს და მით უმეტეს ქალიშვილს მამაკაცური კომპლიმენტი ყოველთვის სჭირდება! იმიტომ, რომ ქალიშვილური სიბნელი და სიკეკლეუც არ ჩაჰკლას საკუთარი ღიაღური მედიდურობით!

რედაქციაში რომ დავბრუნდი, ყველაფერი მისხალ-მისხალ მოვასხენე ბატონ ნოდარს. ისევ ღილაკს დაჭირა თითი და ის კურიერი გოგონა კაბინეტში შემოიყვანა:

— ცუდადაა საქმე!.. დაუბარებია, კომპლიმენტებს ვერ გადაეჩვენებო!

— ესე იგი ვერ გადაეჩვენა... მე იქ აღარ წავალ და სხვასთან რამდენიც უნდა, იმდენი იკომპლიმენტოს! ერთი თხოვნა კი მაქვს: იმ გოეთეს ტელეფონის ნომერი თუ იცით, მომეცით, უნდა დავურეკო და გამოვლანდო... როგორ ბედავს, ორმოცდაათი წლით უფროსი კაცი ცხრაშვიტი წლის ქალიშვილს ტვინს რომ ურევს და მომავალს უფუჭებს!

— ტელეფონის წიგნში ნახე! — უპასუხა ნოდარმა.

მე სიცილი ამიტყდა. ხუთი წუთის შემდეგ ის კურიერი გოგონა კვლავ შემოვიდა და რედაქტორს უსაყვედურა:

ტელეფონის წიგნში გოთუები არიან, გოეთეები კი არა!


— ჩვენი კავშირგაბმულობის ამბავი ხომ იცი, ეტყება, არ დაუდგეს! — უპასუხა ნოდარმა.

— არც არის ღირსი, ეგ წუწკი! — თქვა კურიერმა გოგონამ და კაბინეტის კარი გაიხურა.

ავთანდილ ადგიშვილი

დაამგვიცა..

ნახ. იური ჟინაშვილისა



„ოთხი ბორბალი დაფუყენოთ კანტორას და გავაგოროთ და გამოვავოროთ!“ („მე, ბეზიბ, ილიაო და ილარიონი“).

ადვილი არაა, წამოაყენო რამე იდეა ან თეორია, მაგრამ გაცილებით ძნელია ამ თეორიის დამტკიცება. კიდევ უფრო ძნელია დამტკიცება განახორციელო არა ვიწრო წრეში, არა პუბლიცისტური წერილებით, არამედ მხატვრული ნაწარმოებებით!.. ამის ბრწყინვალე მაგალითია ნოდარ ღუმბაძე, მისი რომანები და მოთხრობები...

მწერალმა სიცილისა და ტირილის, სიყვარულისა და სიძულვილის, კეთილისა და ბოროტის ურთიერთდაპირისპირებით დახატა ცხოვრება არა მარტო ისეთი, როგორიც არის, არამედ ისეთი, როგორიც უნდა იყოს.

დიდება მწერალმა და დიდმა მოაზროვნე ნოდარ ღუმბაძემ დამტკიცა:

...რომ სიცილით ბრძოლა სასაცილო ბრძოლა არაა!

...რომ ჯანსაღი იუმორი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სამკურნალოდ, ისე პროფილაქტიკის მიზნით.

...რომ სიყვარული და სიძულვილი საშიში მანძილით არიან დაშორებული ერთმანეთისაგან. ამიტომ სიყვარულს დიდი გაფრთხილება უნდა!

...რომ ძალი ყოველთვის ადამიანის მეგობარია, მაგრამ ყველა ადამიანი არაა ძალის მეგობარი!

...რომ უსინათლო ხედავს ყურით, ტვინით, ხელით, ფეხით და, საერთოდ, მთელი არსებით, მაშინ როცა სინათლიანი მარტო თვალით ხედავს!

...რომ მწერალმა სათავგადასავლო ნაწარმოებები ისე დაწეროს, მასში სხვა ადამიანთა ცხოვრება ჩანდეს და ბევრმა გაითავისოს!

...რომ ტყუილი, როცა ეს საჭიროა, ისევე სასარგებლოა, როგორც სიმართლე!

...რომ ადამიანის სული ბევრად უფრო მძიმეა სხეულზე და ამ მძიმე ტვირთის ტარება ზოგადასაცობრივ პრობლემად და გადაქცეული!

...რომ შემოქმედს უნდა ჰქონდეს უნარი — გაუძლოს არა მარტო კრიტიკასა და ლანძღვას, არამედ — შექებას და ტაშსაც!

...რომ მწერლის ძეგლი იმ ძეგლის ზუსტი ასლია, რომელიც მან დაიდგა ხალხის გულში!

გივლა გახატაძე

1965 წელს გარდაიცვალა მოსე ქარჩა-
ვა, ცნობილი ჟურნალისტი და მთარგმნე-
ლი, „ნიანგის“ რედაქციის პასუხისმგებე-
ლი მდივანი, ჩვენი დიდი მეგობარი, კა-
ცურის კაცი.

თბილისში სათანადო პატივი მივაგეთ,
გულით გვინდოდა აქვე დაგვეკრძალა, მაგ-
რამ მისი დედამამშვილები დაჟინებუ-
ლი თხოვნით ცხედარი ჩხორონყუს რაიო-
ნის სოფელ ჭოლაში წაასვენეს.

დაკრძალვის წინა დღეს ჩავედით იქ,
ჩვენს შორის, რაღა თქმა უნდა, ნოდარ
დუმბაძეც იყო.

საღამო ახლოვდებოდა. ჩასულები ეზოს
ჭიშკართან ვიდევით და დამწუხრებულნი
ჩუმად ვმასლაობდით. ამ დროს, სად იყო
და სად არა, შუაში ძროხები შემოვიდნენ.
ეზოსთან შეჯგუფებული ხალხის დანახვაზე
ისინი შეჩერდნენ. იდგნენ გაოგნებულები,
ფეხს არ იცვლიდნენ, დიდრონი, სევდიანი
თვალებით გვიცქერდნენ და იცოხნებოდნენ.
იცოხნებოდნენ საოცარი დაჟინებით. საოც-
რად რიტმულად.

დაგას ნოდარი, უცქერის ამ ძროხებს,
უცქერის და მის თვალებში ერთბაშად
ემშაკუნები იწყებენ თამაშს. მომბრუნდა
და მეკითხება:

— რას შვრებიან, თუ იცი, აი ძროხები?

— რას შვრებიან და ბალახს იცონებიან.

— არა, ბიჭო, არ გცოდნია შენ! ბა-
ლახს კი არა, საღებ რეზინებს აგლახავე-
ბენ. ჭოლა უდახე შენ! დასავლეთის გავლე-
ნას აქაც შემოუღწევია. ა, ნახე, ცოტა
ხანში თუ თხებმაც არ ჩამოიარონ ჭულა-
შუპებით..

„რას შვრებიან,

თუ იცი.

აი ძროხები?“

ერთ დიდ ქართველ მწერალს ძეგლი
დაუდგეს თბილისის ცენტრალურ უბანში,
ხეებით დაბურულ სკვერში. მისი გახსნის
ცერემონიაზე დიდძალი ხალხი შეიკრიბა.
შეხსნეს მონუმენტის საბურველი და... დამს-
წრეთა წინაშე წარმოდგა ქართულ ეროვ-
ნულ სამოსელში გამოსყობილი, ქამარ-ხან-
ჯლით აკაზმული ზვიადი კაცი.

ხალხში ჩოჩოლი ატყდა. იყო ერთი
მითქმა-მოთქმა: ძეგლი ზოგს მოსწონდა
და ზოგს — არა. ერთი აზრი საგანზე არც
ამ ღონისძიების თავკაცებს ჰქონდათ.

ერთ-ერთი მათგანი დაიხარა და ხმა-
დაბლა ეკითხება ნოდარს, იმჟამად საქარ-
ველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომე-
რეს:

— ნოდარ, შენ რაღას იტყვი, მოგონს?

— რა გითხრათ... ძეგლს თითქოს არა-
ფერი უშავს, მაგრამ ამ ბაღში ჩიტი რომ
ბუდეს აღარ გაიკეთებს, ეს კი ნაღდა!

1965 თუ 66 წელი იყო, ზუსტად აღარ
მახსოვს. ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტში
ერთი უკრაინელი მწერალი გვეწვია, გაგ-
ვეცნო — ოლეკსა ნოვიჩენკო ვარ. ნო-
დარ დუმბაძის წიგნებს ვთარგმნი და მის-
და პირადად შევხვდეთ.

დავურეკე ნოდარს „ნიანგში“, გაგაცანი
საქმის ვითარება.

— გამოგზავნე, ძამა, აქა ვარ და ველო-
დები!

ქალაქში უცხოდ მყოფ კაცს მართო ვერ
გავუშვებდი და ერთ-ერთ ჩვენს რედაქ-
ტორს, პოეტს, მოკრძალებულ მთიელ ბიჭს
ვთხოვე: გაჰყვი-მეთქი, მეგზური იმ დღეს
სამსახურში აღარ დაბრუნებულა...

მეორე დღეს გარი მტრეველმა მიაიმო:

ძმებივით შეხვედრიან ნოდარი და ოლექ-
სა. მოუკითხავთ ერთმანეთი, უთქვამთ ამ
მთისა და იმ ბარისა. ბოლოს გულიან მას-
პინძელს მეგობრულ სადილზე მიუპატიჟე-
ბია სტუმარი. ნოდარს რამდენიმე თანამ-
შრომელიც გაუყოლებია რედაქციიდან, თა-
ვისი ჭკუისა და ბუნების კაცები.

სადილი კარგა ხანს გაგრძელებულა.
იყო თურმე ერთი „გამიშვი და გაგიშვებ“
ერთი სიცილ-ხორხოცი. ნოდარი კარგ
ფორმაში ყოფილა და არც მისი ამფსონები
იყოფდნენ თურმე სიტყვისათვის ჯიბეში
ხელს. ეს ჩვენი რედაქტორი კი მჯდარა
თავისთვის, ხმა არ ამოუღია. ბოლოს ისევ
ნოდარს შეუნიშნავს იგი და დაუკვესავს:

— ძამა, ჩვენ რომ ენად გავიკრიფეთ, ამ
კაცს სამი საათია ხმა არ ამოუღია, ბო-
ლოკი აჭამეთ, ეგებ დააბოცინოს მაინცო.

გივი კებრიაშვილი

„ნიუ-იორკი—ზენოხანი“

იმ მცირერიცხოვან სტუმრებს შორის, რომლებიც ნო-
დარ დუმბაძემ თავისი დაბადების 50-ე წლისთავზე დაპატიჟა, მეც
მოვხვდი. ეს იყო 1978 წლის 14 ივლისს ჩოხატაურის რაიონის სო-
ფელ ზენოხანში. ჭიშკარი თვალზემავალა გოგონამ გავვიღო.

— თუ არ გავუთქვამთ, — ვუთხარით ჩვენ, — ინკოგნიტოდ
ვართ მოსული. გვინდა გავიგოთ, შინაა თუ არა ნოდარი და სტუმ-
რებს თუ იღებს.

— რას ბრძანებთ, ბატონო! — თავი მოიკლა პატარა გოგომ, —
რას ჰქვია „სტუმრებს თუ იღებს“? მაგი რომ გაიგონოს ნოდარმა,
ხომ მოგვკლავს?

ნოდარი ბიძაშვილებში ყოფილიყო გადასული, გაეგონა თუ არა
მანქანის ხმა, წამოსულა.

— შემოდით, რას გაჩერებულხართ ჩოხატაურის პიონერთა ბა-
ნაკის მშენებლობასავით! — ჰოვავაძა მან, — ყური მოვკარი, ინ-
კოგნიტოდ ვართ მოსულიო ბიჭო, ინკოგნიტოდ მე ვიყავი მეგონა
მოსული და როგორ მომაგენით?

— თავშაველამ მოგვიტანა ამბავი, — ხუმრობითვე ვუპასუხეთ,
— შენი მოთხოვნა „ჩიტის“ გმირმა, თანაც ყურში ჩავჭირჩქულა,
ნოდარ დუმბაძე 50 წლის ხდებაო.

— ხომ ავუკრძალე იმ მამაძალდ ჩიტს, არც ერთ რედაქციაში
არ მიხვდილ-მეთქი! მომაკვდივენიოთ გინდათ?

ამერიკიდან დაბრუნებულს იქ მიღებული შთაბეჭდილებებიდან
ბევრი ვერაფერი „გამოვტყუეთ“, — თვითონ ვწერ და თქვენ რომ
გითხრათ, მერე მე რაღა დავწეროო.

— ბატონო ნოდარ, არცთუ ისე ხშირად დადიხართ აქეთ და რამ
განაპირობა დღეს თითქმის პირდაპირ ამერიკიდან ჩოხატაურში ჩა-
მოსვლა?

— ორმოცდაათ წელს ჩემს მშობლიურ რაიონში მინდა შევხვდი!

— თბილისში არ გამოიარეთ?

— არც თბილისში და, სხვათა შორის, არც სამტრედიისში არ გა-
მოიმვილია.

— აბა, როგორ მოხვდით აქ?

— პირდაპირი დანიშნულების თვითმფრინავით: „ნიუ-იორკი —
ზენოხანი“! — გადაიხარხარა ნოდარმა.

—...—

მართხმელ ნოდარს ჩოხატაურის რაიონის მშრომელებმა შე-
ხვედრა მოუწყვეს და ამ შეხვედრაზე „მე, ბებია, ილიკო და ილა-
რიონიდან“ გათამაშებული ერთი პატარა სცენის შემდეგ მურადას
„როლის შემსრულებელი“ ჯოგის კუდაბრახილი ძალდი ვაჩუქეთ...
ტაშის გრიალი რომ მიწყდა, ნოდარი ჩემკენ გადმოიხარა და წამ-
ჩურჩულა:

— შენი მოწყობილია, ვიცის!

მე გამეცინა.

— რა გაცინებს? — გამიბრაზდა ნოდარი. — იმ მოთხოვნაში
ძროხაც მყავს მე „მოქმედი პირი“ და ძროხა გეჩქებინათ, ეს ზურგ-
გადატყავებული წუწკი ძალდი რომ მაჩუქეთ!

— ფაქიზოსთანა გამხდარი, ფერდებრალეწილი ძროხა ვერ ვიშო-
ვეთ, თორემ გაჩუქებდით. — მივუგე მე.

ნოდარმა პასუხი თავის საბოლოო სიტყვაში გამცა. ჭერ ჩვენი
შენუმრება გააცნო ხალხს და აცინა, მერე დაამატა:

— ფაქიზოსთანა გამხდარი და გაძვალტყავებული ძროხა ვერსად
ვიშოვეთო, რომ თქვი, — მომიბრუნდა მე, — შენ არ იყავი, გაზე-
თში დაბეჭდილ ფელეტონში რომ წერდი, როგორ დავამსგავსე
ძროხა თხასო? თხას აღარ ჯობდა ფაქიზო?

რევაზ მსეფაიშვილი



მობონებათა პრიალოსანი

ნოდარის სამუშაო მაგი-
ლა, როცა „ნინაგის“ რედაქცია
„ზარია ვოსტოკას“ შენობის მე-
ხუთე სართულზე იყო, კარის პი-
რამიდა, კედელთან იდგა. დიდი
ფანჯრიდან მთაწმინდა და მამადა-
ვითის ეკლესია ჩანდა. ნოდარს
უყვარდა იმ ფანჯრიდან მთაწმი-
ნისკენ გახედვა და მუდამ ფიქრი-
ანად ჩაილაპარაკებდა ხოლმე ავა-
კის სიტყვებს „განთავისუფლდით...“
„მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჭყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხივებს მალღით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა...“

ერთხელ გარი მერტყველმა უთ-
ბრა:

— ავაკის სტრიქონებს რომ ამ-
ბობ, აუე მგონია, ლოცულობ იმ
წუთში!

— კიდევაც, რომ ასეა... — უბა-
სუნა ნოდარმა, — როგორც ყვე-
ლა ქართველისთვის, ჩემთვისაც
სახატეა მთაწმინდა, მამადავითის
ეკლესია... შეხედე, როგორ შერწყ-
მულია ერთმანეთთან ორივე, მა-
ინც რა გემოვნება ჰქონდათ, ჩვენს
ხუროთმოძღვრებს? აბა, გაიხსე-
ნე თუნდაც სულ პატარა ეკლესია
ან სახელგანთქმული მონასტრები,
ტაძრები, ანუ აღტაცებაში რომ
მოჰყავს მნახველი... რა მინდოდა
ეკონომიურზე, მე უნდა არქიტექ-
ტორი ვყოფილიყავი!

— პირველ ყოვლისა რას ააგე-
ბდი?

— ბავშვებისათვის პარკს გარ-
თობისა და დასვენების ყველა
საშუალებების გამოყენებით!

მაშინ ნოდარის ეს ნატვრა აუზ-
დენელ ოცნებად ჩავთვალეთ და
რა კარგია, რომ იგი სიცოცხლეში
გახდა ბავშვთა ქალაქ „მზიურის“
მესაძირკვე.

მართლმად ერთი მანდილოსა-
ნი საკმაოდ გულამოჭრილი უსა-
ხელოვნო კაბით მოვიდა რედაქ-
ციაში.

— ამქვეყნად ქალებს კაბის ფა-
სონად დეკოლტე რომ გაქვთ, კი
ვიცი, მაგრამ მოდანი ილუკოლ-
ტეტ თუ იყო, ეგ აღარ შეგონა.
— ღიმილით თქვა ნოდარმა.

ნიანგის მთავარ მხატვარს
ნოდარ მალაზონიას ღამით ცოლი
ცუდად გახდომოდა. მეორე დღეს
რედაქციაში რომ მოვიდა, ძალი-
ან დაღონებულმა გვითხრა:

— ისე ცუდად იყო ნანა, სას-
წრაფოს გამოძახებაც დამჭირდა...

— შენი მოყვარული ქმრობის
ამბავი რომ ვიცი, — წამოიძახა
ნოდარმა, — გადარევი ექიმებს
„ვაი დედას“ მაგიერ „ვაი ნანას“
ყვირილით და როგორ დაიშურე-
ბდნენ რამეს ავადმყოფის დასახ-
მარებლად!

— რა არის იმაში ცუდი, ასეთი
რომ ვარ? — უფუნებოდ გახედა
ნოდარს მალაზონიძე.

— ცუდი ისაა. ძამა, რომ გადა-
გვიღე ქმრებს ცოლები, — გა-
დაეხვია ნოდარ მალაზონიას სი-
ცილით ნოდარი. იმანაც შუბლი
გახსნა და ჩვენთან ერთად გაი-
ცინა. მიხვდა, ნოდარმა მისი წუ-
ხილის გასაქარწყლებლად იოხუ-
ნა.

გამოცემლობა „საბჭოთა
საქართველოში“ „მე, ბებია,
ილიკო და ილარიონი“ წიგნად
უნდა გამოსულიყო. ნოდარი ძა-
ლიან ღელავდა, არაფერი წამიმა-
ლონ, არ გადაშავებინონო. ერ-
თხელაც გვესტუმრა ილია ხოშტა-
რია, წიგნის რედაქტორი. ნოდარი
ფერმეცვლილი მისჩერებოდა, რას
იტყვისო.

— წავიდა სტამბაში დედანი, —
თქვა ბატონმა ილიამ, — კარგი
წიგნი დაგიწერია.

— ხომ არაფერი შემიცვალეთ?
— წერტილ-მძიმესაც არ შევხე-
ბივარ.

— დაგიუბივართ, ბატონო ილი-
ა, — გაიბადრა ნოდარი და სი-
ცილად დიდვარა. — ის წერტილ-
მძიმე მიჭირს სწორედ მე, თქვენი
იმედით ვიყავი და რალა მეშვე-
ლება?

— მაგი ისეთი წიგნია, ვის გაახ-
სენდება იქ წერტილ-მძიმე, —
სერიოზულად თქვა ბატონმა ილი-
ამ. — თორემ აგერ შენ და აგერ
მე, ნახავ, რა რეზონანსი ექნება
და რა რეცეპტებს დაგიწერენ
კრიტიკოსები.

მართლაც, ნოდარის აღმსვლა
მწერლობაში ამ წიგნით დაიწყო.

1962 წლის ზაფხულში თბი-
ლისში რამდენიმე დღე პაპირო-
სის დეფიციტი იყო და მწველები
თუთუნს დაედებდნენ. იმ ხანად
მივლინებიდან ჩამოვიდა რედაქ-
ციის ლიტმუშაკი ანზორ ტაბატა-
ძე, ოცამდე კოლოფი „ყაზბეგი“
ჩამოიტანა და მე შემანახვინა სე-
იფში. ეს გაიგო ნოდარმა და ასე-
თი სახის განცხადება დაწერა:

უფრონად „ნიანგის“ ლიტმუშაკს
ამბ. ა. ნ. ტაბატაძეს
ნ. ვ. დუმბაძის
განცხადება

ბაღნოზიდან ვეწევი პაპიროსს.
თბილისში რატომღაც გაქრა იგი
და მოკლებული ვარ წიგნის უდი-
დეს სიამოვნებას. გავიგე, ყოფილ-
ხარ პროვინციაში, სადაც თავისუ-
ფლად იშოვება ეს დასაწავი ნი-
ვთიერება. გთხოვთ, გასცეთ ჩემ-
ზე ერთი კოლოფი „ყაზბეგი“. და-
გამახსოვრებთ!

ნ. დუმბაძე
ანზორმა წაიკითხა განცხადება
და მიაწერა:

ამბ. ნანა კანდელაკს
მივცით ჯეზებ დუმბაძეს ერთი
(1) კოლოფი „ყაზბეგი“.

მართი გაქცეა ნურებულო
საქმე ებარა მოსე ქარჩავს და
აღარ დაადგა საშველი ორი მე-
ზობლის მორიგებას საერთო ბი-
ნის ცალ-ცალკე გადასაცვლელად,
რაკილა ერთი მათგანის ჭირვეუ-
ლობის გამო საქმეს კეთილად და-
ბოლოების პირი არ უჩანდა.

ერთხელ ის ჭირვეული მოქა-
ლაქე რომ მოვიდა ისევ პრეტენ-
ზიებით რედაქციაში, შეწუხებუ-
ლმა მოსემ თავზე წაივლო ხელი,
„გავა, ჩქიმი ცოლაო“. ნოდარმა
მოულოდნელად გარი მერტყველს
საკმაოდ ხმაყლა უთხრა მბრძა-
ნებლური ხმით:

— გადაუღე ამ კაცს სურათი
და მივცეთ „ნიანგში“ განცხადება:
„იერიდეთ, სახიმოებო, ამ კაცის
ქალიშვილის შერთვას, ინტრიგა-
ნი სახიმამხროს საქმილო რომ არ
გახდეთ!“

— მაგაზე ადვილი რა არის, —
თქვა გარემ, თავისი მაგიდის უჯ-
რიდან ფოტოაპარატი ამოიღო და
იმ კაცს უთხრა: — აბა, ფანჯარა-
სთან დადექი სინათლეზე, რომ
მკაფიოდ გამოჩნდეს შენი სახე!

კაცი გაფითრდა, ხელი აიფარა
სახეზე და მუდარით მიმართა ნო-
დარს:

— არა! ეგ არ ქნათ, არ დამ-
ლუპოთ, თანახმა ვარ, ყველა ვა-
რიანტზე თანახმა ვარ!..
— უსაბუთო სიტყვის ახლა
ღმერთსაც აღარავისი სჯერა და
მე როგორ დაგიჯერო, სული ამო-
გვხადე აგერ ამდენ ადამიანს,

ამიტომაც ხელწერილი დამიწერე
და მიხედე საქმეს!
კაცი მართლაც მიუხედავად წიგნისა
და ხელწერილის დაქვემდებარება
დაც „ნიანგში“ არ გამხატოთ და
არ გამწეროთ და მერზობლის ყვე-
ლა ვარიანტზე ვარ თანახმა და
თუნდაც დღესვე გადავალ იმ ბი-
ნაში, საცა მერტყვის“.

ამის შემდეგ გაცვლა მართლაც
სულ მალე მოხდა და როგორც
დასრულდა ის საქმე, მოვიდა ის
კაცი ნოდართან და თხოვა, ხელ-
წერილი ჩემს თვალწინ უნდა და-
ხიოთ. ნოდარმა მართლაც ამოიღო
უჯრიდან ხელწერილი და ნაკუწ-
ნაკუწად აქცია, თან ღიმილით და-
სძინა:

— აბა, შენ იცი, აღარ დამღვრიო
ახალ მეზობლებთან ურთიერთ-
ბა, თორემ შეცდომას ღმერთი არ
მაპატიებს და შენც კარგ ქომავს
დაკარგავ!

მართლმად უშუალოდ მისას მი-
შა კუხალაშვილმა ნოდარს დაუ-
რეკა. ძილბურანში მყოფმა ნოდარ-
მა აღელვებით ჰკითხა, რა მო-
ხდა, ასე გვიან რომ დარეკე, ხომ
არაფერი შეგემთხვა?

— მიყვარხარ, ნოდარი, სხვა
რა უნდა მომხდარიყო? — უთხრა
ნაბახუცებმა მიშამ, პასუხსაც აღ-
არ დაელოდა და ჩამოუვიდა ყუ-
რმილი.

ნოდარს რაკილა ძილი გაუტყ-
თა, იფიქრა, აღარც იმას დავაძი-
ნებო, და დარეკა ცოტა ხნის მე-
რე მიშასთან:

— დიდი მადლობა, ჩემო მიშა,
ისე ძალიან რომ გიყვარვარ, და-
მეც რომ გახსოვს და მოსვენებას
არ გაძლევს ჩემი სიყვარული!

— კი მაგრამ... მაგ მადლობას
სამსახურში რომ მოვიდოდი, მე-
რე ვერ მერტყოდი, ამ გამოთენიას
რომ მირეკავ? — აბუზღუნდა მი-
შა.

— ვიფიქრე, დილაღე არ გაცი-
ვებულებო ჩემი მადლობა, თანაც
თუ უძილობაა, ბარემ ერთად ვა-
თითოთ სიყვარულის გამო ეს და-
მე!..

მიშას გავცინა და თავისი ბოხი
ხმით ჩასძახა ყურმილში:

— ასე გავებულო რომ ხარ, ნო-
დარი, ყველაფერში, ამიტომ მი-
ყვარხარ, ხომ ხვდები?

— რა არის აქ გაუგებარი, ძამა,
ოღონდაც, თუ მართლა გიყვარ-
ვარ, აწი სხვა ვინმე შეიყვარე უშუ-
ალოდ მისას ამის გაცხადებისათვის!
— უთხრა ნოდარმა და ტკბილი
ძილის გაგრძელება უსურვა მარ-
თლა საყვარელ ადამიანს, ყველა
ნიანგელისთვის თავგადაგებულ
მიშას.

„გაუთხოვარი აღარ ღარჩები!“

ნახ. გენიკ ზუბაშვილისა

ახლა, როცა ნოდარის საიუბილეო დღეებია, რამდენი რამ ამორტივდება გონებაში...

...1972 წელს ნოდარმა ჩემი წიგნი „გაუთხოვარი“ ჩაუშვა დასაბეჭდად, რედაქციაში შესული დამინახა, გამოიბოძა და მეუბნება: „აწი ნუ გეშინია, გაუთხოვარი ღარ ღარჩები, შენი წიგნი მაღალ დაბეჭდება და რა ღმერთი გაუწყრებათ, რომ არ მოგაყვითონ!“

ნოდარი ინფარქტით ავადმყოფი იწვა საავადმყოფოში სანახავედ მივედი და რაღაც შეხვეული თანჯარაზე დავდე:

— რა არის შეხვეული? — მეკითხება ნოდარი.

— შეწვარი წიწილებია და „ცოცხალი“.

— ჰოო, ეგ ნანულის გასაუქმებლად კარგია! (თურმე არ შეიძლება მისთვის შემწვარი).

გამოხდა ხანი, ნოდარი უკვე კარგად იყო. მწერლები მეუბნებოდნენ: — გოგო, რამ მიგატანინა აქა და ტყემაო ან შავი ღვინო როგორ შეიძლებაო?!

თურმე ნოდარი ხუმრობდა: დოღომ შემწვარი წიწილები, აჟიკა, ტყემალი და შავი ღვინო მომტანაო!

დოდო ზუბაშვილი



უსიტყვოდ

ჭიდაძემ მსგავსი პიროვნებასა

ნოდარ დუმბაძემ შურნალ „ნინაგის“ რედაქციაში მაშინ დაიწყო მუშაობა, როცა ჯერ კიდევ სახელმწიფოებრივი მწერალი არ იყო ან, უფრო სწორად, როდესაც იწყებოდა გარიჟრაჟი მისი შემოქმედებითი აღმავლობისა. მწერლის ცხოვრების ეს პერიოდი ბედნიერების შუკით იყო გაბრწყინებული. ეკონომიურად ჯერ კიდევ გაუმართავ ოჯახს არაფრად მიაჩნდა გაჭირვება, რადგან განუზომელ სიხარულს ანიჭებდა პატარა ზაზა, რომელთანაც ნოდარი როგორც ბავშვი ბავშვთან, ისე თამაშობდა. თამაშობებიდან, რა თქმა უნდა, ყველაზე პრივილეგირებული იყო ფეხბურთი, რომლის სასპარტეო მოედნადაც საცხოვრებელი ოთახი ჰქონდათ გამოყენებული. ყველაზე უფრო სასიხარულო ფაქტორად ორივე ფეხბურთელს ის მიაჩნდა (რა თქმა უნდა, ნანულის საწინააღმდეგოდ), რომ ოთხსი ეკონომიკური სივრცის გაშვარდებით იყო გასატყობი.

იმ დროისათვის ნოდარი მეგობრულ წრეში აღიარებული კერპი იყო: ნიადაგრივით მოდიოდა იუმორი მისი ბაგეებიდან, ლხინის დროს ექსტაზში შესული მის გვერდით მჯდომ ყველა ნაცნობს თუ უცნობს ატყუებდა ანეკდოტებით, კალამბურებით, ექსპრომპტით, ფუნაგორიებით თუ სიმღერით... ნოდარს ჰქონდა შესანიშნავი სენა, იგი მღეროდა მთელი თავისი განცდით, თითქოს ყელთან ერთად მღეროდა მისი სხეულის ყველა ნაწილი — გული, თვალები, ტუჩები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხელებიც კი... შემოქმედების მხრივ ნოდარი ამ დროისათვის აღიარებული იუმორისტი იყო, „ნინაგის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა მისი ბრწყინვალე ფელეტონები, რომლებსაც მკითხველი ყველა ახალ ნომერში მოუთმენლად ელოდა.

იმ პერიოდში „ნინაგის“ რედაქტორი იყო კეთილი და გულუბნებიერი ნიკო შველიძე. ნინაგელთან კოლეგტივში სუფევდა მეგობრული განწყობილება, ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული. ყველა სიახლე უურნალის ფურცლებზე თავისებურად შუქდებოდა და როდესაც თბილისის ქუჩებში გამოჩნდნენ ავტოგაქირავების პირველი მერცხლები, დაგვბადა სურვილი — ორი დღით დაქირავებული „მოსკვიჩებით“ დასავლეთს ვწვეოდით და ზოგი რამ საჩანგლზე იმერეთშიც მოგვეძებნა. თქმა და შესრულება ერთი იყო, ორ მანქანაში გავნაწილდით: ნიკო შველიძე, ნოდარ დუმბაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), მოსე ქარჩავა (რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი) — ჩვენი რიგებიდან უდროოდ წასული, სიკეთისათვის დაბადებული. ბრწყინვალე შურნალისტი და მთარგმნელი, ნოდარ მაღალანია (მთავარი მხატვარი), გარი მეტრეველი (ლიტერატურული მუშაკი) — ნიჭიერი შურნალისტი და საყვარელი მეგობარი, ასევე ჩვენგან უდროოდ წასული, მიხეილ კუხალაშვილი (ტექნიკური რედაქტორი) — „ნინაგის“ აწ გარდაცვლილი ღვაწლმოსილი სიანამშრომელი, გოგი ჭინჭარაძე (ლიტერატურული მუშაკი) და ამ სტრიქონების ავტორი.

გზაში სხვადასხვა მანქანაში მჯდომი ნოდარ დუმბაძე და ნოდარ მაღალანია თითების იმიტაციით, ამერიკელი კოვბოების მსგავსად, ერთმანეთს „იქსროდნენ“ დამბაჩებიდან და სასიკვდილოდ დაჭრილობებით მანქანის სავარძელზე ეცემოდნენ. სიმღერით, მხიარულებით ისე გაილია გზა, რომ მცირედი დაღლაც არ გვიგრძნია. აბას-

თუმანში ერთ-ერთი სანატორიუმის ახლოს შევჩერდით. მწვანე მდელოზე მცირე ტრაპეზის შემდეგ წამოვიშალეთ და სწორედ ამ დროს მიშა კუხალაშვილმა ნოდარს გასძახა:

— ნოდარ, ვიტიდაოთ!

გამოწვევა ყველასთვის მოულოდნელი იყო, მიშა თავისი ფიზიკური აგებულებით მძიმე წონას მიეკუთვნებოდა, ხოლო ტარანით გაწვრილებულ ნოდარს მსუბუქ ან ჭვესაშუალოს თუ მისცემდით.

— არ მინდა, მიშა, წაგაქცევ და გეწყინება!

— ვის წაქცევ, მე?!

— კი, ძაბა, ბურთივით დაგცემ დაბლა..

— მიფრთხილდი, ნოდარ, ზღის კურკასავით გაგისვრი, იცოდეს! გულშემატკივრები ორ ბანაკად გავიყავით და ფალანგებს, როგორც საერთოდ ასეთ დროს ხდება, სხვადასხვა ხერხს ვურჩევდით:

— მიშა, ეცადე ზედ არ დაეცე, თორემ ნანულის ჩაქუჩით გაბრტყელებული ქმარი კი არა, ბიფშტეკსიც კი არ უყვარს! — ჩასჩურჩულა ყურში გარი მეტრეველმა.

— გვერდებში შეუღლიტინე, ნოდარ, და მიშას ამბავი ხომ იცი, გოჭივით გაწვება მწვანეზე! — არიგებდა ნოდარ მაღალანია.

მოჭიდავეთა შორის ჩაღმა ყველაზე ტანმოკლე მოსე ქარჩავა და ძველი გზიკით პირზე ხელშემოდებულმა შემოსძახა:

— ჰილაბა მსოფლიო პირველობისათვის! ჩემს მარჯვნივ — სახელგანთქმული, ბეჭდაუდებელი ჯგუფი დუმბაძე. ჩემს მარცხნივ — მძიმე წონათა რისხვა, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი მიშა კუხალაშვილი.. შენ დაუკარა..

— ტრანაა, ტრანაა... — ზურნასავით თითებს ჩავბერე და სახელოდდაკანწიულმა და შარავლის ტრტბაკეცილმა მოჭიდავეებმა ერთმანეთს ჩაჰკიდეს ხელი და აი, ამ დროს მოხდა ის, რასაც არც ერთი იქ მყოფი არ მოველოდით, როგორ მოიკიდა ნოდარმა მხრებზე ამოდენა სიმძიმე, როგორ ასწია მაღლა, რა სისწრაფით შემოატრიალა პაერში, უეცრად როგორ დასცა მიწაზე, ვერც ერთმა ვერ აღვიქვით. პირველად მე მოვეგე გონს, მიშასთან მივვარდი და შემინებულმა შევძახე:

— მიშა, როგორ ხარ?!

— კარგადა ვარ! — მიშას ოპტიმიზმს ინატრებდა მსოფლიოს ყველა დროის ფალანგი.

— ხომ არაფერი გეტკინა?

— არაფერი!.. — ფეხზე წამოდგა ინტიმარგაუტყნავი მორკინალი და შარავლი გაისვროს.

— არ არი!.. არ არი!.. — ატეხეს ყოფინა ბიჭებმა, მაგრამ მიშამ ორივე ხელი უარის ნიშნად გაიჭინა.

— არი, როგორ არ არი, მაგრამ კიდევ უნდა მეტიდაო, ნოდარ!

— კი ახლა, მიშა, ერთმანეთს ხომ არ დავხოცავთ, თუმცა შენ რა გენაღვლება, ხელად გაგაქროლებენ მანქანით კუკისაკენ, მე კი როგორ ამიტანო ხელით მთაწმინდის აღმართზე!..

— მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული და დაფნის გვირგვინი ნოდარ დუმბაძეს! — გამოაცხადა მოსე ქარჩავამ და სახელდახელოდ დაწნული მინდვრის ყვავილების გვირგვინი ნოდარს დაადგა თავზე..

ვალერიან გამუჟალაშვილი

კაცი მარადიული გულისშუქით!

ჩვები ღუმბავაი..

ეს სახელი „ნინაგის“ დარჩა როგორც წარსული წლების ძვირფასი სახსოვარი და იგი სათუთოდ ინახება სულიერ ფასეულობათა იმ ზარდახში, ქართული სატირისა და იუპოკრატის ისტორია რომ ჰქვია.

ბელნიერმა შემთხვევად ნოდარ ღუმბაძესთან იმ დროს შემახვედრა, როცა მას მაღალმხატვრულად დაწერილმა პირველმავე ვრცელმა მოთხრობამ საყოველთაო აღიარება მოუპოვა.

ამ ორი ათეული წლის წინათ რესპუბლიკაში მომუშავე ახალგაზრდა მწერლებს დედაქალაქში მოგვიყარეს თავი, ორი კვირით სასტუმრო „ივერიაში“ დაგვანებინეს და მეტურვეები მოგვიჩინეს. პოეზიის, პროზის, დრამატურგია და მთარგმნელობა სექციებში დიფუზიონური მუშაობა ახალგაზრდა მწერლებს შეეძლო. სემინარებს ესწრებოდნენ და მასში აქტიურად მონაწილეობდნენ უკვე სახელმწიფოებრივი, ამავდროულად მწერლებიც.

ჩვენი, პროზის სექცია, ასეთი დღის წესრიგით მუშაობდა: ახალბედების ნაწარმოებები წინასწარ წასაკითხად და შესაფასებლად გამოცდილ მწერლებს ეძლეოდათ. ისინი იყვნენ ძირითადი მომხსენებლები, შემდეგ კი იწყებოდა კამათი თითოეული მოთხრობის ავტორზე.

როცა ჩემი მოთხრობები ნოდარ ღუმბაძეს გადასცეს, ამან გამახარა, ოღონდ შემაშინა კიდევ რა ვიცი, რას როგორ შეხედას ამხელა იუმორის მქონე, დახვეწილი გემოვნების მწერალი, თანაც ენამოსწრებული და ფეოქტეპალი სიცოცხლის დიდოსტატი-მეთქი, ვფიქრობდი.

მთელი სამი დღე გულაჩქროლებული ველოდი, როდის გამოჩნდებოდა მაჩაბლის ქუჩაზე, როდის შემოაბიჯებდა მწერალთა კავ-

შირის სასახლეში სანდომიანი გარეგნობის კაცი, ნიდაგ ღიმბის ნაბერწლები რომ უკრთოდა ჰკვიან თვლებში.

მოსვლა ერთი იყო, მაგრამ იმაზე ფიქრი კიდევ სხვა, თუ რა განაჩენს გამოიმტინდა, მომცემდა თუ არა ვიზას მწერლობის დიდ გზაზე პირველი ნაბიჯის გადასადგმელად.

როგორც იქნა, ეს დღეც დადგა. და აი, სერიოზული და საქმიანი ნოდარ ღუმბაძე ჩემი მოთხრობებით ხელში ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე დადგა.

— წავიკითხე ამის და ამის მოთხრობებიო, — ჩემი გვარი დასახელა, — მაგრამ არ ვიცი... — აქ მან მხრები ოდნავ აიწურა და ხელები გაშალა.

ამ პაუზამ გამაოგნა, ვერ ვხვდებოდი, რა უნდა მოჰყოლოდა ასე დაწყებულ ფრაზას... თავი ჩავლუნე და დაველოდე საბოლოო მსჯელის.

— ...აქ როგორ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, გამოვა თუ არა ამ კაცისგან მწერალი?! არა, ბატონო, ამაზე მსჯელობა ერთბაშად დაგვიანებულია...

მე უკვე მხრებში ორმად ჩავრგე თავი, იმედი გადამიწყდა, რომ უცბად კილო შეიცვალა ჩემმა მკაცრმა ოპონენტმა:

— საქმე ის არის, ამხანაგებო, რომ ჩვენს წინაშე უკვე ჩამოყალიბებული ქართული სიტყვის ოსტატი... აქ ლაპარაკი უნდა იყოს იმაზე, თუ როგორ მოვეუაროთ!

მოჰყვა და რას მოჰყვა! ვესხენდი და თითქოს ყურებს აღარ ვუჭერებდი. ეს ვინა ვყოფილვარ და აქამდე როგორ არ ვიცოდი-მეთქი. თუმცა იმასაც მივხვდი, რომ მაღალმან დამინახა ასეთი, სხვები იმდენს ვერ ვხედავ. მეტებდნენ ყველასათვის უცნობი დამწყები მწერლისათვის.

— აი, თუნდაც „სვავები“ წაიკითხეთ!.. ეს ყველაზე პატარა მოთხრობაა, — ისმოდა დარბაზში მომხსენებლის მშვიდი ხმა, — მე კი უნდა მაპატიოთ, უცხოელი სტუმრები მაყვას!

სემინარის პრაქტიკაში პირველად მოეწყო მოთხრობის საჯარო კითხვა. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რომ „სვავების“ წარმატება ძირითადად იმან განაპირობა, რომ თვითონ ნოდარ ღუმბაძემ აიღო მისი პირველი სინჯი...

მომდევნო დღეებში ზოგჯერ თუ გამოჩნდებოდა მწერალთა სასახლეში, ერთხელ დიმილით მომიახლოვდა და განდობილად მკითხა:

— რას შვრები, შტატებს არ ამცირებ? გაკვირვებით შევხედე, ამას რას მეუბნება-მეთქი.

— სვავებზე გეკითხები... მაგდენ სვავს, ბიჭო, ერთი სოფელი ველარ აუთავადება, ცოდლა ხალხი! — გულლიად ჩაიციხა, — იფიქრე!

„ეს რა დიდი კაცი ყოფილა! შენიშვნები კი ჰქონია, მაგრამ იქ ზედმეტად მიიჩნია ამის თქმა, მე ხომ მისი მხარდაჭერა ძალიან მჭირდებოდა!“ — გავივლე გუნებაში და მადლიერი თვალით შევხედე.

იღბლიანი არა ვარ, მაგრამ ამ ერთხელ ძალიან გამიმართლა, ცხოვრების გზაზე გამოსულს უწინ ის შემიხვდა — კაცი მარადიული გულისშუქით!

პირველი შეხვედრა

1957 წლის დეკემბერია, ვსწავლობ თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში. იმ დროს „ნინაგის“ რედაქცია იყო ლენინის ქუჩაზე, ყოფილი მეტალურგიული ტექნიკუმის შენობაში, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის პირდაპირ მდებარეობდა. ამ პირდაპირობამ გამათამაშა და სრულიად ახალგაზრდა კაცი „ნინაგის“ მიმოიყვანა. შესვენების დროს მომიწია მისვლა, რედაქციაში ერთადერთი კაცი დამხვდა, ისიც წვერგაუპარსავი და თბილისელები. ასე, ოცდაათი წლისა იქნებოდა. რომ შევედი, მეგონა მეტყუოდა: მომრძალდით, დაბრძანდით, რამ შეგაწუხათ, გისმენთო, მაგრამ, თქვენც არ მომიკდეთ, არავითარი რეაქცია!.. ტელეფონზე დარეკა, ვილაცას უთხრა, გიგლა, დროზე მოიტანე ნახატები, თორემ რედაქტორი უკვე ბრაზობს და „ნინაგის“ გასახადი თვითონ არ გახდეს! მერე ყურმილი დაკიდა, ისევ შემომხედა, ისევ არაფერი უთქვამს, უბნის წინააღმდეგ ჩაიხედა და ისევ სადღაც დააპირა დარეკვა, რომ ჩემთვის ჩავილაპარაკე:

— რა ყურადღებაა!..
— ბიძიკო, აქ შენისთანა სტუდენტი შეცდომით დღეში ათი შენის, დავიდალე ამდენი სწავლებით, სად არის აუდიტორიები? ყველას მე რომ მოგაკციოთ ყურადღება, თქვენი რედაქტორი უხელფასოდ დარჩება და არ გეცოდებათ?
— მე წინასწარი განწარხებით გვახელით.

— ოჰო, დახვრეტაზე მოდინარ, ბიჭო? რა დააშავე? — თვალები აუციმციმდა.

— შეცდომით მოსვლაზე გამახსენდა, შეიძლება?
— აბა, მიდი.

— ერთ-ერთ ლექციაზე სხვა ჯგუფის სტუდენტმა შეცდომით შეიღო აუდიტორიის კარი. გაბრაზდა ლექტორი, დამაშავა ჯგუფში შეიყვანა და თავის სტუდენტებს ჰკითხა: რის ღირსია ეს თავხედი? — დავასწროთ თქვენს ლექციას და მეორედ აღარ გახედავსო! — მიიღო პასუხად.

მეგონა, გულის წასვლამდე იცინებდა, მაგრამ არათუ არ გაღიწებია, იმ სწორი წარბების ერთი ბეწვაც არ შეტოვებია.

შეიძლება ვერ ვაიგო-მეთქი და ხელახლად დავიწყე: — ერთ-ერთ ლექციაზე... დავასწროთ თქვენს ლექციას და მეორედ აღარ გახედავსო! — აღარ დამამთავრებინა.

ნორი წამიხდა. უელში ცრემლები მომეხიჩინა... — ეგ, ეხეც თუ „ნინაგის“ რედაქცია-მეთქი! — ჩავილაპარაკე, წამოსვლა დავაპირე, მაგრამ უცბად მისმა ხმამ შემაჩერა:

— ეგ რა განცხადება გიჭირავს?
— ჩემი მინიატიურებია, მაგრამ აღარ ღირს გამოჩენა...
— წამაკითხე და არავის არ ვეტყუე, რა წერია შიგ. მივეცი, წაიკითხა, მაგრამ ისევ არავითარი რეაქცია არ იცინის კაცი და მოკალი, თუ გინდა!
— დამიტოვებ?
— რატომ უნდა დავიტოვო? — შევკრთი მე.
— დავეტედავო, თებერვლის მეორე ნომერში დავებედავო! — თქვა და ჩემი მინიატიურები მაგიდის ზედა უჯრაში ჩადო. სხარულისგან თავბრულახვეული გამოვედი ქუჩაში, მაგრამ რაღაც ეჭვი შემინდა თავში და ისევ ავბრუნდი.
— პატრცემულო, მახსარად ნუ ამიგდებთ, ერთი უბრალო სტუდენტი ვარ, საბჭოთა სტუდენტი...
— მე ონგლისის დაწვერვის აგენტი მეგონე!.. სტიპენდია გაქვს, ბიჭო?

მანაცდამინიც იმ სემესტრში დავკარგე სტიპენდია!.. ვიფიქრე, რომ ვუთხრა, კარგად ვერ ვსწავლობ-მეთქი, ვაითუ აღარ დამიბეჭდოს, მაგრამ ტყუილიც ვეღარ ვუთხარი და პასუხად ამოვიხრე:

— სტიპენდია რომ მქონოდა, აქ რა მომიყვანდა?
მასწავლა:

— ფულის გასაკეთებლად მოხვედი ჩვენთან? იმდენ ჰონორარს გამოვიწერი, რომ ვერ დახარჯავ! — გამეხუმრა. ოთახში ქაღალტონი სონია ციცოშვილიც შემოვიდა და დაიძახა. — ჩვები ღუმბავა, რედაქტორთან!

მასწავლა შევიტყუე, ვინ იყო ის წვერგაუპარსავი კაცი. უჩემოდ არ წახვიდოდა, დამიძახა, ჩემი მინიატიურები რედაქტორთან შეიტანა და ცოდლა ხნის შემდეგ მეც გამომიძახეს.

„ნინაგის“ მასწავლელმა რედაქტორმა ელგუჯა მაღრაძემ ძველი ნაცნობივით ჩამომართვა ხელი და მითხრა, ასეთი რაღაცები ხშირად მოგვხატანო. ასე გამათამაშეს მათთვის სრულიად უცხო ახალგაზრდა ნოდარ ღუმბაძემ და ელგუჯა მაღრაძემ. მას შემდეგ აგერ უკვე ოცდაათი წელია „ნინაგის“ ვებეჭად და ოთხი კრებულიც გამოვეცი მისი „ბიბლიოთეკის“ სერიით. მაღლობა მინდა გადავიხადო, ჩემი ნოდარ, პირველმა მაინც შენ მიეცი ვიზა ჩემს ნაცოდვილარს და ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო იმ დროს უკვე გახმაურებული „მე, ბებია, ილიკო და ილიარიონის“ ავტორისაგან!

მარიკა გველესიანი

პალესარ კეთილი იყო



მეგობრული შარუი

გიგლა ფირცხალავასი

„ნიანგი“
ფიქს ვილარ
დადგამ

ნოდარი უაღრესად კეთილი იყო, მუდამ ხმადაბლა ლაპარაკობდა, ხმის აწევა არ უყვარდა, მაგრამ მთავარი რედაქტორი იყო და საქმის გამო ზოგჯერ ნებით თუ უნებლიეთ ვაბრაზებდით.

სარედაქციო ნომერს ვუშვებდით, ნოდარი უკვე საბეჭდად იყო გადაცემული. საღამოს სტამბიდან დამირეკეს, არიქა, მოდით კორექტურა მიდისო!.. გავიქეცი. ნოდარი უკვე მისული დამხვდა. ერთი ლექსის სტრიქონი — „მ მარტია, მ მარტია!..“ შეცდომით ასე ყოფილა აწვრილი: „მ მარტია, მ პარტია!..“ შეცდომა გაასწორეს (არადა, ბეჭდვის დროს სწორება ძალიან ძნელია). ნოდარი სააქროში ბოლთას სცემდა: „მაგათ მუშაობა არ უნდათ, ნესრიგი არ უნდათ!“ — ამბობდა. ხმა არ ამოვიღია. დამნაშავე ვიყავი.

მეორე დღეს, დილით, რედაქციაში რომ მივედი, მითხრეს, შედი რედაქტორთან, გკითხულობსო. შევწუხდი, კიდევ რაიმე ხომ არ მოხდა-მეთქი. კარი შევალე და შევჩერდი. ნოდარმა გამიღიმა თავისი სვედიანი ღიმილით: — მოდი, მარიკა, შევრიგდეთ!.. გუშინ გაბრაზებულ გულზე სანყენი ხომ არაფერი გითხარიო! მერე იგონებდა ხოლმე, კორექტურა კიდევ არაფერი, მაგრამ მარიკამ რომ მ პარტიის არსებობის დაკანონება მოინდომა და ისიც „ნიანგის“ სარედაქციო ნომრის საშუალებით, ამხელა „პოლიტიკურ“ შეცდომას ვინ გვაპატიებდაო!

ერთხელ პარტია იკომა რედაქციაში შემოსულ წერილებზე მუშაობის საკითხი შეამოწმა. ერთმა ლიტმუშაკმა სანერი მაგიდის უჯრა რომ გამოაღო, უჯრის უკან წერილი იყო გადავარდნილი.

ნოდარი და მე (პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი ვიყავი) რაიკოში თათბირზე გამოგვიძახეს. ზოგჯერ შემოსულ წერილებსა და საჩივრებს ყურადღებას არ აქცევთო, გვისაყვედურებს და ის ფაქტი აღნიშნეს. ნოდარმა თქვა: — რედაქციას წერილების აღმრიცხველიც კი არა ჰყავს შტატიტ, სულ ვჩივით ზემდგომ ორგანოებში, მაგრამ ჩვენი საჩივრები ალბათ უჯრის უკან არის გადავარდნილიო.

საკითხი ბიუროზე აღარ გაუტანიათ.

ერთხელ ნოდართან ვიყავი კაბინეტში. ერთი შტატგარეშე თანამშრომელი შემოვიდა და ნოდარს შეევედრა: — ნიკო კეცხოველს შენ ძალიან უყვარხარ, თხოვე, ჩემი ცოლი თავის კათედრაზე სამუშაოდ მიიღოსო.

— ნიკო კეცხოველს მე იმიტომ ვუყვარვარ, პროტექციას რომ არ ვთხოვო, — უპასუხა ნოდარმა.

ნოდარ ღუმბაძის სიყრმის მეგობარი ოტია კალანდაძე პენსიაზე გასვლის შემდეგ ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად მუშაობდა. მუზეუმის მხარე სართულზე დროებით სოცურუნველყოფის საპენსიო განყოფილების მუშაკები შეასახლეს.

— ოტია კალანდაძეს თუ იცნობთ? — ჰკითხა ერთხელ მუზეუმში სტუმრად მისულმა ნოდარ ღუმბაძეს.

— რომელ ოტიას კითხულობთ, პირველ სართულზე რომ ხელფასს იღებს და მეორეზე პენსიას? — უპასუხა ნოდარმა.

ლემბენდარშული კალათბურთელი ვაჟა ჟღენტის სოფელში ესტუმრა ნოდარ ღუმბაძეს. უზარმაზარი მხლის ძირში მწიფე მხსლები ეყარა ბლომად. ვაჟმა ხარბად დაიწყო მხსლის ჭამა. სადღის შემდეგ მასპინძელმა უთხრა სტუმარს:

— ვაჟა, შენი გულისთვის დღეს მეზობლები მოვიმღურე!

— ჩემი გულისთვის რატომ? — გაუკვირდა ვაჟს.

— რატომ და, დილის მეორე მეკითხებიან — ვინ გესტუმრა ასეთი, მთელი სოფლის ღორები რომ შიმშილით დახოცაო.

მართლმეტყველებელი საღამოს შემდეგ ნოდარ ღუმბაძეს შემოესივნენ ახალგაზრდა მწერლები და ესაუბრებოდნენ. იქვე ერთ-ერთ კომპოზიტორს ეძინა და მთელი ძალით ზვინავდა.

— ათანაირი ზვინავა მომისმენია, მაგრამ მსგავსი რამ არ გამიგონია! ეგ ოჯახაშენებული არც ერთ ფუტკ სვლას არ აკეთებს, ზვინავს როგორც ჩასუნთქვის, ისე ამოსუნთქვის დროს!.. ჩაუდგით ყელში „გლუშიტედი“, თორემ ყურებს გაგვიზვრტეს! — გაიცინა ბატონმა ნოდარმა.

ბაპუიანში გამართულ ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის ტრადიციულ თათბირ-სემინარებზე ბატონ ნოდარს გულმკერდით შევითვებოდა, ფუნაგორიებით, ექსპრომტებით... განსაკუთრებით მე გამოვიდე თავი და მეექვსედ რომ ვუძღვენი ექსპრომტი, სახელდახელოდ, მოუფიქრებლად მომახალა: „კიდევ ბევრს თუ გამაწვალდებ, ჩემო ძმაო ვანიაო, „ნიანგი“ ფიქს ვილარ დადგამ, „პრაზნიკი“, „დასვიდანიო!“



საბარისა და ინფორმაციის
შერჩევა „ნიანგი“
№19-20 (1774). ოქტომბერი.
რედაქციის 1923 წლის
იენილიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლშაქოვი

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ აღიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზარი
ბარათია, ზორის გურგულ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-
მალ ლოლუა, ნოდარ მა-
ლაზონია (მხატვარ-რედაქ-
ტორი), ალექსანდრე სამ-
სონია, ბეჟან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-
ანი, თამაზ წიფწივაძე, ნა-
ფი ჭუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაცემა ასაწყობად
05. 09. 88 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 25. 10.

88 წ. ქალაქის ზომა
60X90¹/₈, ფიზიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 3. სააღ-
რიცხვო-საგამომცემლო თა-
ბახი, 3,6. საქართველოს კ-
ცის გამოცემლობა,
ლენინის 14. შეკვ. — 2240
უე 01538 ტირაჟი 136.700
ქურნალი გამოცემის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.


ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი №42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მ მდივანის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან-მემატიანის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Изда-
тельство ЦК КП Грузии,
Ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
улица Ленина № 14.

ფასი 40 კაბ.
ინდექსი 76137





ნახ. ჯემალ ლომუასი

— სოსო, შენ ხედავ მზეს?
— არა, ხატია, ვერც მე ვხედავი!